ლელო

№9
(11 158)

4 – 6 თებერვალი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენები ნაგანოში

კახა წაქაძე



ეს სპორტსმენი ნაგანოსათვის რომ მომზადებულიყო, რუსეთის სპორტსმენებს მძღოლად ემსახურებოდა

წაქაძე უმცროსი — კახა 18 იანვარს 29 წლისა გახდა. წარმოსადეგი, საკმაოდ დაღვინებული და შორსმჭვრეტელი ვაჟკაცია, საუბარი სწრაფი და აზრიანი იცის. თავდავიწყებით უყვარს სპორტი და მისი თაყვანისმცემლები. ჰყავს მეუღლე და ორი წლის ქალიშვილი მერი.

კიდევ რა? ოცნებობს საქართველოს ჰყავდეს მფრინავ-მოთხილამურეთა მთელი არმია.

კახა წაქაძესთან — საქართველოს ერთადერთ მფრინავ მოთხილამურესთან შეხვედრა არც თუ იოლი საქმეა. იშვიათად ჩამოდის მშობლიურ ბაკურიანში, სულ ორი-სამი დღით, ანდა... რამდენიმე საათით. ახალი წლის პირველ კვირაში კახამ მოულოდნელი ვიზიტით შემოაღო ბაკურიანის კარი, თავისიანებს მაგრად ჩაეხუტა და... იქვე „მიახალეს“: „ტრამპლინებზე ასასვლელი საბაგირო გზა სხვას გადასცესო!“

აი, ამას ჰქვია სიურპრიზი თეთრი ოლიმპიადის წინ. დაველოდეთ აღელვება ცოტა მაინც დამცხრალიყო და ვთხოვეთ „ლელოს“ მკითხველთათვის გაგვსაუბრებოდა, ჩვენი კითხვებისათვის თანმიმდევრულად გაეცა პასუხი. ასეც მოხდა. ნამგზავრი, დაღლილ-დაქანცუ-

იხ. მე-2 გვ.

დავით ყიფიანი: რუსებმა წინადადებებით აგვავსეს, მაგრამ ფეხბურთელებს აღარსად გავუშვებთ. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაზე ვფიქრობთ



„თანამეგობრობა-98“-ის ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელ დავით ყიფიანს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდით, თუმცა, სანამ მოსკოვში მიღებულ შთაბეჭდილებებს გაგვიზიარებდა, შევთანხმდით, რომ ამიერიდან სპორტულ ჟურნალისტებს კლუბის წარმომადგენლები ყოველ ხუთშაბათს შეხვდებიან 12-დან 14 საათამდე.

● *ბატონო დავით, მოსკოვში გამგზავრების წინ თქვენ განაცხადეთ, რომ „თანამეგობრობა-98“-ის ტურნირს განიხილავთ როგორც საფეხბურთო სეზონისათვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე დახურულ დარბაზში ჭიდილმა?*

– ვერ ვიტყოდი, რომ წინა წლებთან შედარებით დაძაბულობამ იმატა. ტურნირის ორგანიზატორთა მთავარი საფიქრალი მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ ფინალში გაყვანა იყო. რუსეთისა და უკრაინის ჩემპიონების შეხვედრა გარკვეული პოლიტიკური ელფერის მატარებელიცაა. ისე, თავად განსაჯეთ, როდესაც მატჩები ისეთი ანგარიშით მთავრდება, როგორიცაა ვთქვათ, 19-0, რა დაძაბულობაზეა ლაპარაკი?

● *„დინამო“ მოსკოვის ტურნირისათვის ფაქტიურად არც ემზადებოდა, ბიჭებმა ვარჯიში ხომ 5 იანვრიდან განაახლეს. ამავე დროს, რუსეთის და უკრაინის ჩემპიონები სეზონისათვის ფორსირებულად ემზადებიან – ერთ თვეში მათ ხომ ევროპის საკლუბო ტურნირების მეოთხედფინალური მატჩები ელით. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, კმაყოფილი ხართ გუნდის თამაშით?*

– დიახ, ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დსთ-ს ტურნირზე ყოველწლიურად ახალი შემადგენლობით მივემგზავრებით. ამიტომაც „დინამოს“ მიერ მოსკოვში ნაჩვენები შედეგი, ვფიქრობ, კანონზომიერია. თუმცა, ისიც უნდა ვაღიროთ, რომ მეტის გაკეთება შეიძლებოდა. საილუსტრაციოდ კიევის „დინამოსთან“ მატჩს მოვიყვან. აბსოლუტურად თანაბარი თამაში იყო, არადა, მატჩამდე ყველას ეგონა კიეველები, რომლებიც ამჟამად ევროპის გრანდებში შედიან, თავისუფლად გაგვისწორდებოდნენ. ასე არ მოხდა. ბიჭებს ამ მატჩში მოტივაცია ჰქონდათ, ძალიან მოინდომეს. ასე რომ, ჩვენს გუნდს საკმაო პოტენცია აქვს ღირსეულად ვეპაექროთ ევროპის უძლიერეს კლუბებს.

● *იმავდროულად, ბოლო წლებში*

იხ. მე-3 გვ.

სიხარულიძე და ბერეჟნაია ოქროს მედალს უმიზნებენ...

ფიგურული სრიალის მიხედვით, რუსული პრესა, მომავალ თეთრ ოლიმპიადას, ლილეჰამერის 94 წლის ოლიმპიურ თამაშებთან ადარებს; ასე მაგალითად, ერთეულთა ციგურაობაში რუსეთელები ნორვეგიაში საერთოდ ვერ მოხვდნენ შეჯიბრებებზე, სამაგიეროდ, იაპონიაში სამი რუსეთელი ქალი გამოვა. ფიგურულ ციგურაობაში რუსეთის ნაკრების 17 მონაწილიდან 12 ყოფილა ოლიმპიური თამაშების დებიუტანტი. რაც შეეხება ელენა ბერეჟნაიას, იგი წინა ოლიმპიადაზე ოლეგ შლიახოვთან ერთად წყვილში ლატვიას წარმოადგენდა და სპორტსმენებმა მაშინ მერვე ადგილი დაიკავეს. ახლა ელენა ანტონ სიხარულიძესთან ერთად გამოდის და ისინი, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, უველაზე მაღალი ადგილების რეალური პრეტენდენტები არიან.

ივან იარიგინის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში



დავით პოლოსიანი

ელდარ კურტანიძე

მომჭირნეობა კარგია, მაგრამ მედლის ხარჯზე?

ხაზინის გადამკიდე, ჩვენს სპორტში, უცნაური წესი მკვიდრდება – ბიუჯეტიდან სპორტისთვის გამოყოფილ თანხას დროულად არ გაღირსებენ და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი იძულებულია სპორტსმენები და მწვრთნელები ან ნასესხები თანხით, სულაც ოსტატ-შეგირდები მათსავე ხარჯზე მიავლინონ საერთაშორისო შეჯიბრებებზე. ეს არაერთხელ გვითქვამს და თუ კიდევ ერთხელ ვიხსენებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ საქმისადმი ასეთ მიდგომას ოქროს მედლების დაკარგვამდე მივყავართ. ახლა კი ერთ კონკრეტულ მაგალითზე გვინდა შევჩერდეთ. ამ დღეებში კრანოიარსკში იარიგინის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი მიმდინარეობდა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც უსახსრობის გამო მხოლოდ ორი ფალავანი, ელდარ კურტანიძე და დავით პოლოსიანი შეიყვანეს ჩვენებმა განაცხადში. კრასნოიარსკში ელდარი გერმანიიდან ჩავიდა, სადაც გამოსაზამთრებლად ერთ-ერთ იქაურ კლუბში ვარჯიშობს. ტურნირზე ისევ და ისევ ფინანსური ხელმოკლეობის გამო, ვერც მწვრთნელის მივლინება მოხერხდა, ვერც მსაჯის. ჩვენს სპორტსმენებს საერთოდ არავინ ჰყავდათ მიმხედავი. დასამალი რა არის, ასეთ დროს ყველა ცდილობს დაგჩაგროს და დაჩაგრეს კიდეც – მეორე წრეში ელდარს დამარცხება ჩაუთვალეს შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონ კურმამედოვთან პაექრობაში, არადა, ჩვენს რჩეულს თურმე ეს შეხვედრა დიდი უპირატესობით მოუგია. დიახ, უპატრონოს არავინ დაინდობს, თუნდაც იგი კაშკაშა ვარსკვლავი იყოს. არც ისაა დასამალი, რომ ასეთი ამბების შემდეგ გული სპორტსმენსაც უტყდება, უარყოფითად შეიძლება დაკომპლექსდეს. თავს ნუ მოვიტყუებთ, არიქა, ქართველებს უჭირთ, აგერ, ცნობილ ათლეტებს უსახსრობის გამო მწვრთნელიც ვერ ჩამოჰყვა და არავინ დაჩაგროსო, არავის წამოსცდება. თუ ასე გაგრძელდა, უარესი გველოდება. ბოლოს ალბათ იქამდე მივალთ, რომ მოპოვებულ კი არა, დაკარგულ ოქროს მედლებს დავითვლით და თავსაც გავიმართლებთ – მიზეზი ხომ ნამდვილად არის.

ტურნირი დასრულდა. ელდარმა შემდგომ შეხვედრებში თავისებურად, ვაჟკაცურად იჭიდავა, მაგრამ დანაკარგს ველარ აინაზღაურებდა – გზა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ მოჭრილი იყო. საბოლოოდ, მას მესამე ადგილზე გასვლის შანსი დარჩა, რაც ხელიდან არ გაუშვია და ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

გორელმა დავით პოლოსიანმა კი ბრწყინვალედ იარა საფინალო შეხვედრამდე და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ 58 კგ წონით კატეგორიაში იგი კვლავ რჩება ერთ-ერთ უძლიერეს ფალავნად. დავითმა ამ შეჯიბრებაში მოპოვებული ოქროს მედლით საქართველოს სპორტსმენთა 1998 წლის მონაგარს ღირსეული ჯილდო შემატა.

„ნაიკი“ შემოსავს თხუთმეტ ნაკრებს

სპორტული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მწარმოებელმა ფირმა „ნაიკმა“ ვანკუვერში გამართულ მორიგ უიკ-ენდზე წარმოადგინა 15 ქვეყნის ჰოკეისტთა ნაკრებთათვის ახალი ფორმა, რომლითაც ისინი ნაგანოს თეთრ ოლიმპიადაზე გამოვლენ.

„ნაიკმა“, რომლის დებიუტი შედგება ზამთრის ამ თამაშებზე, დაამზადა აღჭურვილობის კომპლექტი 14 ვაჟთა და 6 ქალთა გუნდისათვის. ყველაზე თვალშისაცემი იქნება შვედების ჩაცმულობა, რომლებიც ჩემპიონის სახელის დასაცავად ჩავლენ ამომავალი მზის ქვეყანაში – ცისა და ოქროსფერის კომბინაცია გამოარჩევთ მათ ყველასაგან.

ფრანგები, რა თქმა უნდა, არც ამჯერად უღალატებენ თავიანთ „მამლაყინწას“, რომელიც მკერდზე ექნებათ დაკრული, იაპონელებს კი თეთრ ფონზე ვეებერთელა წითელი დისკო დაამშვენებს (ამომავალი მზის სიმბოლო), ამერიკელებს წითელ, თეთრ და ცისფერ ზოლებზე (ეროვნული დროშის ფერები) ეწერებათ ასოები „იუ-ეს-ეი“, კანადელებს კი შავ-წითელ ნეკერჩხლის ფოთოლზე – ყვანჯიანი ჰოკეისტი

დამხმარე ძალები

იაპონიაში, თავდაცვის სახმელეთო ძალებში, შეიქმნა „ოლიმპიურ თამაშებთან თანამშრომლობის სპეციალური ნაწილები“ და ნაგანოში ამასთან დაკავშირებით საზეიმო ცერემონიაც გაიმართა. ამრიგად, თეთრი ოლიმპიადის ორგანიზატორთა მისაშველებლად სამხედროებიც გადაისროლეს.

ის, რისი გაკეთებაც ჯარისკაცებსა და ოფიცრებს მოუწევთ, საიდუმლო არაა – გადათოვლა და შეჯიბრებებისათვის სპორტული ბაზების მომზადება. ნაგანოს პრეფექტურაში ფიქრობენ, რომ ასეთი დახმარების გარეშე თამაშების წარმატებით ჩატარება გაჭირდება.

მედლები დაგეგმილია

ზამთრის ოლიმპიადაზე სუომის ქვეყნის ნაკრები 89 სპორტსმენით წარდგება. ფინელები 6-7 მედალს ვარაუდობენ.

გუნდში ძირითადი აქცენტი სათხილამურო რბოლებსა და ტრამპლინიდან ხტომებზეა გადატანილი. ჩრდილოეთის ქვეყნის დელეგატები ჰოკეისტთა წარმატების იმედითაც არიან, მით უფრო, რომ მათი გუნდი ნბლ-ის მოთამაშეებით გაძლიერდება.

ნაგანოელებო, იყავით სტუმართმოყვარენი!

თოვლის უკმარობა და გზებზე გაჭედვის საფრთხე – ეს ორი პრობლემა უფრთხობს ძილს ზამთრის ოლიმპიადის ორგანიზატორებს. თოვლის საკითხი თითქოს მოგვარდა – მართალია, ველად თეთრი საფარველი ისევ არ ჩანს, მაგრამ მთებში, სადაც მოთხილამურეთა შეჯიბრებები გაიმართება, 110-120 მილიმეტრი ნალექი მოვიდა დამატებით. იქ, თოვლს ფაცა-ფუცით ტკეპნიან და აწესრიგებენ იაპონიის შეიარაღებულ ძალთა სპეციალური დანაყოფები, რომლებიც „იმუქრებიან“ – ასპარეზობათა დაწყებისას ყველაფერი კარგად იქნებაო...

უფრო ბუნდოვანი ყოფილა სიტუაცია ნაგანოს ვიწრო გზებზე, რომლებიც უმრავლეს მონაკვეთზე ორ ზოლამდე დადის. პოლიციამ უკვე გამოაცხადა ავტომობილების მოძრაობის მკვეთრი შეზღუდვის თაობაზე; სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებნი განთქმულნი არიან პირადი ოთხბორბლიანი ტრანსპორტისადმი დიდი სიყვარულით და პრაქტიკულად ყველა მათგანს ჰყავს ავტომობილი; ეგ კი არა, ნაგანოს მთიან პრეფექტურაში ყოველ ოჯახზე საშუალოდ თურმე, ორ-ორი ავტომანქანა მოდის და იქ სულ 1,6 მილიონი სატრანსპორტო ერთეულია რეგისტრირებული.

ასეთ პირობებში ხელისუფალნი მთავარ იმედებს მოსახლეობის შეგნებაზე ამყარებენ და ოლიმპიადის დროს მხოლოდ ავტობუსებით მგზავრობისკენ მოუწოდებენ. პოლიციას განზრახული აქვს საგანგებო ფურცლების, გაზეთებისა და ტელევიზიის მოშველიებით, ყოველდღიურად, ემუდაროს მცხოვრებლებს – იყავით სტუმართმოყვარე მასპინძლები და გზებზე საცობებს ნუ შექმნითო.

ერთგვარი შედეგი თურმე არის – თამაშების ზონაში გზებზე ავტომობილების ნაკადი შესუსტდა და შესაბამისად საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე ადამიანთა რაოდენობა გაიზარდა...

ქართველები ჰოლანდიურ კლუბებში ბრწყინავენ

ამ დღეებში თავი ისახელეს ჰოლანდიურ კლუბებში მოასპარეზე ქართველმა ფეხბურთელებმა შოთა არველაძემ და გიორგი დემეტრაძემ. მათი გუნდები სეზონისათვის სამზადისში ამხანაგურ საერთაშორისო მატჩებს მართავენ. „აიაქსი“ საფრანგეთში ჩავიდა შარშანდელ ჩემპიონ „მონაკოსთან“ სათამაშოდ. მატჩი ჰოლანდიელებმა მოიგეს 3-1. შოთა არველაძემ პირველი და მეორე გოლი შეაგდო. „ფეიენოორდი“ სიცილიაზე შეხვდა „ჰამბურგს“ და დამარცხდა 2-4. გიორგი დემეტრაძემ ორივე გოლში დაიდო წილი. ერთი თავად გაიტანა, მეორე კი მისი წაქცევისათვის ჰოლანდიელებმა – პენალტით.

ჩვენები ნაგანოში

კახა წაქაძე

(პირველი გვერდიდან)

ლი ინტერვიუზე დაგვეთანხმა, მხოლოდ ერთი პირობით — საუბარში შიგადაშიგ მამამისსაც — ბატონ კობასაც მიეღო მონაწილეობა.

● **კახა, ერთადერთი ქართველი მხტომელი ხარ ოლიმპიური ნაგანოსკენ პულად, ვაჟკაცურად რომ გაიკაფე გზა და ჩვენს სპორტსმენებში ყველაზე ადრე მოაგროვე საჭირო საოლიმპიადო ქულები.**

— სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის ალბათ 95-მა პროცენტმა არც იცის, რომ მე კვლავ „ვხტუნაობ", რომ ჩვენი ტრამპლინები ისევ და ისევ „ფორმაში არ არის." ამიტომაც მიხდება ხან მოსკოვში და ხან სხვა ქვეყნებში ვარჯიში და ასპარეზობა. ერთი სიტყვით, მართლაც კაკო ყაჩაღივით ვხეტიალობ ტრამპლინიდან ტრამპლინამდე. ამას წინათ, საკონტინენტო თასის ერთ-ერთ ეტაპზე საფრანგეთში ცნობილ ოლიმპიურ ცენტრ შამონიში გამოვედი 70-მეტრიან ტრამპლინზე, რომელიც, ფაქტობრივად, 90-იან ტრამპლინად ითვლება. ორივეჯერ 90,5 მეტრზე ვიფრინე და 120 მონაწილეს შორის მეათე ადგილზე გავედი. მოუთმენლად ველი ზამთრის თამაშებს, თუმცა ოლიმპიურ ტრამპლინზე უკვე მეორედ მომიწევს გამოსვლა.

● **ვინაა ამჟამად შენი მწვრთნელი, ვინ მიგყვება ნაგანოში?**

— ჩემი მწვრთნელი ისევ და ისევ... კობა წაქაძეა, მაგრამ ნაგანოში იგი არ მომყვება. ცხადია, თავს ბედნიერად ვიგრძნობდი, მამა რომ გვერდით მყავდეს თეთრ ოლიმპიადაზე. ასე რომ იყოს, დარწმუნებული ვარ, უკეთ ვიასპარეზებდი. მოგეხსენებათ, ყველაფერს დაფინანსება სჭირდება, ჩვენს ოჯახს კი ამის საშუალება არა აქვს.

● **გასული წლის მიწურულში კობა წაქაძე — „მფრინავი ტორპედო" ფინეთში გახლდათ...**

— დიახ, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო ბოლო წლებში. იგი 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მიწვევით ჩავიდა იქ, სასტუმროში ცხოვრება და უკან წამოსვლა მასპინძლებმა დაუფინანსეს, იქ კი მამაჩემი საკუთარი ხარჯით წავიდა... ძროხა გავყიდეთ! „ლელო" ამ ფაქტზე ადრე უკვე წერდა.

(კახა წაქაძემ შარშანდელი სპორტული სეზონი გარკვეული წარმატებებით დაამთავრა — დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში ავსტრიაში V და VII ადგილებზე გავიდა, ხოლო საკონტინენტო თასის გათამაშებაში, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი მხტომელები გამოდიოდნენ, ოცდაათეულში მოხვდა. ეს უკვე იძლევა საჭირო სარეიტინგო ქულებს და კვალიფიცირდება როგორც მაღალი შედეგი).

ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის კობა წაქაძის თქმით, თავად იგი არ მიჰყვება საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას ნაგანოში, თუ გნებავთ ერთგვარი პროტესტის ნიშნად, რადგან ბოლო წლების განმავლობაში კახა წაქაძის მზადებისათვის არ იყო გამოყოფილი არავითარი სახსრები. ბატონ კობას აზრით ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომა უნდა ცალკე გამოიყოს ფედერაციიდან, როგორც ეს მსოფლიოს სხვა ქვეყნებში და საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებშია. მისივე აზრით, საკითხი არა თუ მომწიფდა, არამედ, დაგვიანდა კიდეც მისი გადაჭრა და დადებითად გადაწყვეტა მოხსნიდა იმ პრობლემებს, რომელიც საკმაოდ დაგროვდა ჩვენში.

● **კახა, ოლიმპიადისათვის შესაფერი ჩასაცმელი თუ გაქვს?**

— თანამედროვე სახტომი კომბინიზონი და თხილამურები — „როსიგნოლი" შევიძინე ამას წინათ. აი, თხილამურების საჭირო საცხი კი, წარმოიდგინეთ, დღესაც არა მაქვს ოლიმპიური ნაგანოსათვის. ყოველივე დაახლოებით 1500 დოლარი დაგვიჯდა, საცხის ფული კი აღარ გაგვაჩნდა.

● **კახა თუ საიდუმლო არ არის, ვინ გეხმარებათ მატერიალურად?**

— მამის გარდა, ჩემი უმცროსი ძმა. იგი კინორეჟისორია, ისიც კობა წაქაძეა, მაგრამ, მოგეხსენებათ, არც მას აქვს დიდი საშუალება რეგულარული დახმარებისა — საკუთარი ოჯახი აქვს. თეთრი ოლიმპიადის მზადებისას იძულებული ვიყავი ჩეხეთში ჩემი ჩეხი მეგობრების დახმარებით მიკროავტობუსი ამეღო იჯარით, რუს სპორტსმენებს მოველაპარაკე და ისინი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადამყავდა შეჯიბრებიდან შეჯიბრებაზე. ასე, შეიძლება ითქვას, მთელი ევროპა მოვიარეთ. ცხადია, მეც ვსარგებლობდი ამით და შეჯიბრებებზე გამოვდიოდი. ერთი სიტყვით, მძღოლის როლს ვასრულებდი. ისე კი, წარმოიდგინეთ, როგორია საჭესთან მთელი დღე ჯდომა და რაღაც ნახევარ საათში სტარტზე გამოსვლა?! ასე რომ, როგორც ხედავთ, იოლი გზა ოლიმპიადისკენ მართლაც არ მქონდა. აქვე ვიტყვი, რომ 1997 წლის ნორვეგიის მსოფლიო ჩემპიონატისათვის საგანგებოდ მოვემზადე და აი, საკვირველება! იქიდან გამოგზავნილი მოწვევა-განაცხადი სადღაც დაიკარგა თუ გაქრა (?!) თბილისში. ზამთრის სპორტის სახეობათა ფედერაციაში ამის შესახებ კაციშვილმა არაფერი იცოდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, თუ რამდენ საჭიროა მხტომელ მოთხილამურეთა ცალკე ფედერაცია.

● **ოლიმპიადაზე ვის თვლით მთავარ ფავორიტად?**

— გამარჯვების დიდი შანსები აქვთ ავსტრიელებსა და იაპონელებს. ჩვენ საკმაოდ ჩამოვრჩით მათ, ეს წამყვანი ქვეყნები კი სწრაფად წავიდნენ წინ და ენერგიულად ააღორძინეს ვაჟკაცური სახეობა.

● **და მაინც, როგორი იმედით მიემგზავრებით თეთრ ოლიმპიადაზე?**

— იმედიანად კი მივდივარ, მაგრამ, რომ იტყვიან, დავით კოპერფილდი არა ვარ, საოცრება მოვახდინო! ჩემთვის მთავარია ტრამპლინიდან ქართველი სპორტსმენი ხტებოდეს. ერთი სიტყვით, საქართველო წარსდგეს ოლიმპიურ თამაშებზე. დასანანია, რომ ახალგაზრდული წლები გადის, ვარჯიში მსურს, პირობები კი არაა საამისო.

...ბაკურიანის წრიულ გზაზე წლის დასაწყისში ეტლით მისეირნობდნენ დამსვენებლები. ერთ-ერთი მგზავრი შეეკითხა მეეტლეს, კობა წაქაძე თუ არისო ახლა ბაკურიანში? პასუხი ასეთი იყო: როგორ არა, აქ არის... საქონელს უვლის! შვილი კიდევ ხტება? არ ვიცი, დაბაში ვერ ვხედავ... დიახ, თვით ბაკურიანელებმაც არ იციან, რომ კახა წაქაძე კვლავ სპორტსმენია. იმას კი ხედავენ, რომ ბატონმა კობამ გვერდით ამოიყენა მწვრთნელები ბეჟან ქუმარიტაშვილი, სიმონ ხაჩატურიანი, ზელიმხან თვაური და ახლა ერთად ავარჯიშებენ ნორჩ სპორტსმენებს. მეტიც — შარშან ბაკურიანის ტრამპლინზე კვლავ ჩატარდა გაზეთების „ლელოსა" და „ბორჯომის" ერთ დროს ტრადიციული პრიზების გათამაშება, ასევე კობა წაქაძის თასის გათამაშებაც.

— ახლა კვლავ ვიწყებთ ვარჯიშს და თუ საჭირო ინვენტარი ვიშოვეთ, შეიძლება 70-მეტრიან ტრამპლინზე გადავინაცვლოთ, — გვეუბნება სპორტის დამსახურებული ოსტატი კობა წაქაძე.

შარშან, წლის ბოლოს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ტრამპლინების დირექცია, მის ხელმძღვანელად მე დამნიშნეს, მაგრამ... კომპლექსი უბაგიროზებოდ. ეს იგივეა, მხედარი რომ უუნაგიროდ იყოს. ტრამპლინების ექსპლოატაცია მართლაც შეუძლებელია საბაგირო გზა თუ არ არის. აბა, წარმოიდგინეთ, ტრამპლინებზე ასასვლელ კიბეს 930 საფეხური აქვს. სხვათა შორის, ამას წინათ, თბილისში მითხრეს, რომ ბაკურიანის საბაგირო პრივატიზებულიაო. გავვოცდი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ჯანო ბაგრატიონს შევჩივლე ამის შესახებ. გაკვირვებულმა მიპასუხა, არაფერი ვიციო. ცოტა შვება ვიგრძენი, არა მგონია, სპორტული ბაზა დეპარტამენტის უნებართვოდ გაყიდონ. და კიდევ: ორი წლის წინათ, რაიონის გამგებელთან ვაჟა ბერიძესთან გახლდით, ვთხოვე ჩვენთვის გადმოეცა დეპარტამენტის ზამთრის სახეობათა ყოფილი სპორტული სკოლის ორსართულიანი შენობა, სადაც მინდოდა სპორტული ჯგუფები გამეხსნა. სამწუხაროდ, გამგებელმა მითხრა, რომ ცოტა დავაგვიანე, მე იგი სხვას შევპირდიო (?!)...

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს" საკ. კორ.,
ბაკურიანი

სახელოვან მწვრთნელთა საკრებულო

ამაგი, რომელსაც გივი ზაუტაშვილი ჰქვია

ზოგჯერ, ჩუმი, უხმაუროდ მეცადინე კაცი რომ „იძულებით" წარუდგინო ფართო საზოგადოებრიობას, რაღაც მიზეზია საჭირო. ისე კაცმა, რომ თქვას, მეტი საბაბი რა გინდა, თუ ისეთ პიროვნებასთან გაქვს საქმე, რომელმაც აღზარდა ძიუდოში ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი შოთა ხაბარელი, ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი და მსოფლიო სამგზის ჩემპიონი თემურ ხუბულური, ევროპის ჩემპიონი და მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორი ბორის გოგიჩაშვილი, ენგურ გოგიჩაშვილი, იოსებ ახალბედაშვილი, მიხეილ გუმრაძე, კობა კურტანიძე, რომელიც თავისი ბიძის გივი კურტანიძისა და გივი ზაუტაშვილის სამწვრთნელო ქურაში გამოიწრთო.

– ხომ იცით „რა თავმდაბალი კაცია, 5 იანვარს 60 წლის ხდება და ეგებ „ლელომ" რაიმე დაწეროსო – ტელეფონით შეგვეხმიანა რედაქციაში ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მარტყოფლიშვილი. გივი ზაუტაშვილზე გვითხრა, შეგირდთა აღმზრდელზე და მართლაც უზადო პიროვნებაზე.

ცხადია, ასეთ კაცს უყურადღებოდ არ დავტოვებდით, მაგრამ რაკი გასულ შაბათს, ნოდარ ახალკაცის დაკრძალვაზე გორიდან ჩამოსულს შევხვდით, საუბრის საშუალებაც მოგვეცა.

იუხერხულა. მერე, როგორც ასეთი კაცისგანაა მოსალოდნელი, თავის მასწავლებელზე და აღზრდილებზე უფრო მეტს გვიყვებოდა, ვიდრე საკუთარ თავზე.

აღზრდილები ზემოთ ვახსენეთ, მასწავლებელი კი გურამ პაპიტაშვილი გახლავთ, მასავით დინჯი, ფიქრიანი, საუკეთესო თვისებებით გამორჩეული მწვრთნელი. მისგან ბევრი რამ ვისწავლეთ, გვითხრა. და აქვე „განთიადის" ყოფილ ხელმძღვანელებს ივანე ბოჭორიძეს და ავთანდილ გიორგობიანს რომ ხელი არ შეეწყოთ თავის დროზე, ამდენს ვერ შევძლებდიო. ყოველთვის სასიამოვნოა ასეთი სიტყვების მოსმენა. რაკი საუბარმა მოიტანა ვკითხეთ, ახლა როგორლა მუშაობთ, როგორ აუდიხართო პრობლემებს.

თურმე ძიუდოისტთა ის ცნობილი სპორტული სკოლა, გორისა და მეზობელი რაიონების ფალავნებს რომ აერთიანებდა, ბოლო წლებში, ერთხანს, დაშლის პირას მისულა. „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს ბერდია გუგ[illegible]ავას მოუწადინებია და ეს კერა კვლავ გადაურჩენია. აფინანსებს კიდეც. გაფანტულ მწვრთნელებს რაღა შეკრებდა, თანაც არც ხელფასებია სახარბიელო და ისევ თავად შესჭიდებია საქმეს ვაჟიშვილებთან ნიკოლოზთან და ანზორთან ერთად. ეს ბიჭები საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები არიან ახალგაზრდებში და ჭაბუკებში და სპორტში მეცადინეობასთან ერთად, ნაადრევად შეუდგნენ მწვრთნელობას.

გორში ყველამ იცის გივი ზაუტაშვილის დამსახურება, თუმცა გამორჩეულად, ყოფილი ფალავნები ანზორ ქიბროწაშვილი, ბორის გოგიჩაშვილი, ელგუჯა ბერუაშვილი და ადგილობრივი სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ჯვარიძე უდგანან მხარში. მაგრამ ეს სკოლა მხოლოდ ძიუდოს როდი უხდის ხარკს, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში წარმატებით გამოდიან სკოლის აღსაზრდელები. სამბოში ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორები გახდნენ ნიკოლოზ ზაუტაშვილი და ალექსანდრე კიკოლაშვილი. საქართველოს ჩემპიონებს და პრიზიორებს ჭიდაობის ზემოხსენებულ სახეობებში კი ვინ ჩამოთვლის.

... თავადაც ქართული ჭიდაობით დაიწყო მშობლიურ ბერშუეთის ღია არენაზე. მერე თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში მოიპოვა სპორტის ოსტატობა. იყო საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი და პრიზიორი. რუსეთის მეორე პრიზიორიც გახდა არმიაში ყოფნისას, არმიელთა შეჯიბრებებშიც ბევრჯერ ასულა კვარცხლბეკზე. სპორტთან ურთიერთობა არც ვოლგოგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სწავლისას შეუწყვეტია.

საკავშირო პროფკავშირების მოჭიდავეები საბჭოთა პერიოდში, როგორც იტყვიან, ჰქუხდნენ და მათ წარმატებებში, როგორც მწვრთნელს, გივი ზაუტაშვილსაც უდევს ლომის წილი. აკი, 1980 წელს, საკავშირო პროფკავშირების საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს, მერე კი მედალიც გადაეცა „შრომითი მამაცობისათვის".

გორში აღარ არის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის სპორტული დარბაზი, სადაც გივი ზაუტაშვილმა 1964 წელს სამწვრთნელო საქმიანობა დაიწყო. დაიწვა გორის ცნობილი ცირკი. მაგრამ გამოჩნდა ქართულ სპორტზე შეყვარებული პიროვნება, მსუბუქი მრეწველობის პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი, რომელმაც ჭერი გაუზიარა ძიუდოს სკოლას. და ახლა ტრადიციების ასაღორძინებლად, ამ სკოლაში იღვწის ხუთი შვილის მამა და ხუთი შვილიშვილის პაპა, მრავალ ჩემპიონთა აღმზრდელი და სამაგალითო დამრიგებელი – დღეს უკვე 60 წლის გივი ზაუტაშვილი.

თ. ჯაფარიძე

ახალი სპორტული კერები

... და იზრდება საიმედო ცვლა

ქობულეთში ჩატარდა საჭადრაკო სკოლის პირველობა. „ა" კატეგორიის ტურნირში 10 ქულით პირველობა მოიპოვა სოფიკო გოგიტიძემ. II-IV ადგილებზე აღმოჩნდნენ ირაკლი ნადირაძე, ირაკლი კაკალაძე და ბესიკ კაკალაძე (7,5-7,5 ქულა). უკეთესი კოეფიციენტით II ადგილი ირაკლი ნადირაძეს ხვდა, მესამე – ირაკლი კაკალაძეს. „ბ" კატეგორიის ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: 1. თამარ მეავანაძე – 17 ქულა, 2. მარტა ჭიჭეიშვილი – 15, 3. დავით ლომთაძე – 14,5.

რაიონის გამგებელმა ტარიელ ხალვაშმა ის 11 პერსპექტიული მოჭადრაკე დააჯილდოვა სამახსოვრო საათით, რომლებმაც 1997 წელს თავი გამოიჩინეს ჩვენი ქვეყნის, აჭარისა და საერთაშორისო შეჯიბრებებში. ესენი არიან: სოფიკო გოგიტიძე, მადონა ქათამაძე, სალომე ცინცაბაძე, თამარ მეავანაძე, რაისა მონწყობილი, თორნიკე სარჯველაძე, ირაკლი ნადირაძე, გიორგი მგალობლიშვილი, ბესიკ კაკალაძე, ნოდარ მიქელაძე და არჩილ მეავანაძე.

ქობულეთი საჭადრაკო ცენტრად იქცა, შარშან აქ ითამაშეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის წარმომადგენლებმა.

„ლელოს" კორ., ქობულეთი

დიდოსტატი გინესის წიგნიდან

საჭადრაკო მიმომხილველები 77 წლის ვასილი სმისლოვს „ცოცხალ ლეგენდას" უწოდებენ. ასეთი ასაკისა და თვალების მძიმე ავადმყოფობის (გლაუკომა) მიუხედავად, ეს სახელოვანი დიდოსტატი მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში მონაწილეობდა, გრონინგენში. არც ლეგენდარული ემანუელ ლასკერი და არც სხვა სახელოვანი მოჭადრაკეები ამ ასაკში აღარ თამაშობდნენ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სულაც არ აპირებს თავისი საჭადრაკო კარიერის შეწყვეტას.



სმისლოვს ესაუბრება გერმანულ ჟურნალ „როხადეს" მიმომხილველი დაგობერტ კოლმაიერი.

● ***ქალაქ გრონინგენთან თქვენ განსაკუთრებული მოგონება გაკავშირებთ.***

— დიახ, მე ვარ გრონინგენის 1946 წლის ლეგენდარული საერთაშორისო ტურნირის მონაწილე (პირველი ადგილი მიხეილ ბოტვინიკმა დაიკავა, მეორე — მაქს ეივემ), რომელმაც მსოფლიოს 1948 წლის ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი გადაწყვიტა. ეს იყო ჩემი პირველი საერთაშორისო ტურნირი. მე მესამე ადგილზე გავედი და ამის საფუძველზე მსოფლიო ჩემპიონატზე მიმიწვიეს.

● ***როგორი იყო ამ შეჯიბრების იმდროინდელი რეზონანსი?***

— ინტერესი მეტისმეტად დიდი იყო. ყოველდღიურად 2000-ზე მეტი მაყურებელი გვყავდა. როცა 5-საათიანი დროის კონტროლი თავდებოდა და პარტია დაუმთავრებელი რჩებოდ[illegible] საათს გვაძლევდნენ სასადილოდ და დასასვენებლად. მაყურებლები როდი იშლებოდნენ, სახლში არავინ მიდიოდა. ისინი გვიცდიდნენ, სანამ თამაშს განვაახლებდით.

1996 წელს შესრულდა ამ ტურნირის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. იმ შვიდმა მონაწილემ, რომლებიც 1946 წლის ტურნირიდან ცოცხალი დავრჩით, გრონინგენშივე ახალ საერთაშორისო შეჯიბრებაში ვითამაშეთ. ახლა უკვე ექვსნი ვართ — ჩემი მეგობარი მიგელ ნაიდორფი გარდაიცვალა.

● ***ახლა როგორლა იყო ჰოლანდიელთა ინტერესი მსოფლიო პირველობისადმი?***

— პირდაპირ ფანტასტიკური. ახლა ჩვენი ჭადრაკი ყველგან ისეთივე ინტერესს როდი იწვევს, როგორც ჰოლანდიაში. აქ ტრადიციებს სიყვარულით იცავენ, თუმცა ტურნირების ჩატარების წესი ამ ბოლო წლებში კვლავ შეიცვალა.

● ***რას იტყვით ახალ მსოფლიო ჩემპიონატზე?***

— მას უპირატესად სპორტული ხასიათი აქვს. არა მარტო ჭადრაკის კარგად თამაში უნდა შეგეძლოს, არამედ რკინისებური ნერვებიც უნდა გქონდეს. ასეთ ვითარებაში ბევრი მოულოდნელი რამ მოხდა. ვინ იფიქრებდა, რომ ივანჩუკი, ტოპალოვი, ტიმანი, სალოვი, კორჩნოი და იუდით პოლგარი ასე მალე გამოეთიშებოდნენ შეჯიბრებას. როგორც თვალნათლივ ჩანს, ელოს მაღალი კოეფიციენტი ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობისას არავის იცავს.

● ***თქვენ ასევე უიღბლოდ გამოეთიშეთ ასპარეზობას.***

— დიახ. ახლა მე მხედველობა შემისუსტდა და ისე კარგად ვერ ვადევნებ თვალს საჭადრაკო საათს. მოფიქრებისათვის დრო საკმაოდ მქონდა, მაგრამ რახან ცუდად ვხედავ, მომეჩვენა, რომ უკვე ცაიტნოტში ვიყავი და რამდენიმე შეცდომა მომივიდა. ასე წავაგე პირველი პარტია. მე ამით როდი მინდა ჩემი მეტოქის ალექსანდრ მოროზევიჩის თამაშის დამცირება. იგი ძალიან საინტერესო მოჭადრაკე გახლავთ.

● ***რას იტყვით ანატოლი კარპოვის თამაშზე?***

— კარპოვი ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ მის მეტოქეს ყოველდღე ახალ-ახალი პარტია ჰქონდა სამი კვირის განმავლობაში. ამიტომ უფრო სწორი იქნებოდა, რომ პრეტენდენტისთვის დასასვენებლად ერთი თვე მიეცათ. მაშინ მხარეების შესაძლებლობები გათანაბრდებოდა.

● ***თქვენ კი როდემდე აპირებთ საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობას?***

— სანამ ჩემი გონება უკეთ მუშაობს, ვიდრე მხედველობა, საჭადრაკო ტურნირებში მიწვევისაგან უარს არ ვიტყვი. ამასთან ერთად თქვენ მოგეხსენებათ ჩემი მეორე სიყვარულის, მუსიკის შესახებ. მე ახლა უფრო ხშირად ვმღერი და 1997 წელს ორი დისკი გამოვუშვი კლასიკური მუსიკის რეპერტუარით. ერთი 20 რომანსს შეიცავს, მეორე კი 9 საოპერო არიას.

დავით ყიფიანი: რუსებმა წინადადებებით აგვავსეს, მაგრამ ფეხბურთელებს აღარსად გავუშვებთ. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაზე ვფიქრობთ

პირველი გვერდიდან)

ლატვიის ჩემპიონი „დინამოსთვის“ უხერხულ მეტოქედ იქცა.

– ვერ გამიგია, რატომ განიხილავენ ზოგიერთები „დინამო“ – „სკონტოს“ მატჩს, როგორც ყიფიანისა და ძოძუაშვილის პაექრობად, რატომ სურთ ჩვენს შორის შეიტანონ დაპირისპირება? კი, „სკონტომ“ წინა წლებთან შედარებით მოუმატა, ბევრი ახალი ფეხბურთელი ჰყავს. ძალიან მომეწონა გუნდის წინა ხაზი. ლატვიელებთან მატჩში დინამოელებს სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მისი გოლებში გარდასახვა ვერ მოხერხდა. მართლაც, შეიძლება იმის თქმა, რომ „სკონტო“ ჩვენთვის უხერხული მეტოქეა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ იყო ისეთი მიზეზი, რომელმაც ჩვენი წარუმატებლობა განაპირობა. არ მიყვარს მსაჯობაზე ლაპარაკი, მაგრამ კიეველმა მსაჯმა სერგეი ტატულიანმა მიკერძოებით შეასრულა თავისი მოვალეობა: მან აშკარა პენალტი არ დანიშნა ჩვენს სასარგებლოდ, ამავე დროს ძალიან საეჭვო 11-მეტრიანი დაარტყმევინა ლატვიელებს...

● *როგორი შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე ცალკეულმა მოთამაშეებმა? არიან გუნდში ფეხბურთელები, რომლებიც ლიდერის ფუნქციას იკისრებენ?*

– მთლიანობაში, როგორც ძირითადი ფეხბურთელებით, ისე ახალწვეულებით, კმაყოფილი ვარ. მათ გაამართლეს ჩემი იმედები და კლასი აიმაღლეს. განსაკუთრებით გამოვარჩევდი მუჯირსა და ალექსიძეს, კიკნაძესა და ცქიტიშვილს. სასიხარულოა, რომ კარგად მიმდინარეობს ახალწვეულების აშვეთიას, პეტრიაშვილის, არსოშვილის, წიტაიშვილის შერწყმა გუნდთან. არადა, ეს ბიჭები, სულ რაღაც ორი-სამი კვირაა გუნდში არიან.

● *მოსკოვში ლობანოვსკის შეხვდებოდით, თუ გქონდათ ლაპარაკი კახი კალაძის შესახებ?*

– დიახ, ლობანოვსკისთან მქონდა შეხვედრა. მან ძალიან კარგად დაახასიათა კალაძე, თქვა, რომ კახი პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდაა. თავად ფეხბურთელიც კმაყოფილია ახალი გუნდით, ამიტომ ხელი აღარ შევუშალეთ. ისე კი, რა თქმა უნდა, არ მინდოდა ამ ეტაპზე კალაძის გუნდიდან გაშვება...

● *რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რუსულმა კლუბებმა, მათ შორის მოსკოვის „სპარტაკმა“ მზადყოფნა გამოთქვა თავის რიგებში იხილონ ალექსანდრე გელაძე...*

– და არა მარტო გელაძე, რუსებმა წინადადებებით აგვავსეს. პრაქტიკულად სურთ ყველა ფეხბურთელი, მათ შორის ახალწვეულები, რომელთაც დიდი პოტენციალი აქვთ. ასე, აშვეთიას ძალუძს არაფრისგან გოლი შექმნას. მაგრამ ჩვენ ყველანაირად ვეცდებით გუნდიდან ფეხბურთელები აღარ გავუშვათ – წინ ჩემპიონთა ლიგაა.

● *ბატონო დავით, სანამ თქვენს კაბინეტში შემოვიდოდით, თვალი მოვკარით ვეტერან ფეხბურთელებს – ჩინეთის გუნდ „გუანჩჟოუდან“ წამოსულ მეკარე გოჩა ჟორჟოლიანს და სოჭის ჟემჩუჟინელ მცველ დიმიტრი კუდინოვს. რა, „დინამოში“ მათ აყვანას ხომ არ გეგმავთ?*

– თუ ფეხბურთელი „დინამოს“ ბაზაზე ვარჯიშობს, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენი გუნდის წევრია. ხელს არავის ვუშლით, ბაზა მათ განკარგულებაშია. კი ბატონო, ივარჯიშონ და თუ ფუნქციონურად სეზონისათვის მზად იქნებიან, რატომ არ შეიძლება „დინამოს“ მაისური მოირგონ?

● ***მზადებას ბელგიაში გააგრძელებთ?***

– დიახ, ვგეგმავთ ბელგიაში გავაგრძელოთ ვარჯიშები, იქ რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც გავმართავთ. მხოლოდ ამის შემდეგ საბოლოოდ დადგინდება „დინამოს“ შემადგენლობა.

● *ბატონო დავით, გაზეთ „საქართველოს სპორტში“ (№79) დაიბეჭდა ინტერვიუ შოთა არველაძესთან, სადაც იგი შესაძლებლად მიიჩნევს ევრო-2000-ზე წარმატების მიღწევას იმ პირობით, თუკი საქმეს ისე მივუდექით, როგორც ამას ყიფიანი თხოულობდა და რასაც შეეწირა კიდეც: „ყიფიანი ცდილობდა, რომ ფეხბურთელები მაქსიმალურად დაცულნი ვყოფილიყავით. ხომ გახსოვთ „ლოთების“ ამბავი. ყიფიანი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ნაკრების ფეხბურთელს „ბიზნეს-კლასით“ ემგზავრა. მხოლოდ იგი ითხოვდა, რომ ფეხბურთელებისთვის შეპირებული პრემიები დაერიგებინათ. ყიფიანს უნდოდა, რომ ნაკრების ფეხბურთელი დაზღვეული ყოფილიყო ტრავმებისაგან. კიდევ ბევრი რამ სურდა მას და რა გასაკვირია, რომ ნაკრებს ჩამოაცილეს? არავითარი კონფლიქტი ფედერაციასა და ფეხბურთელებს შორის არ დაუნერგავს ყიფიანს, პირიქით, ერთგვარი მუხრუჭის როლსაც კი ასრულებდა“... რა კომენტარს გაუკეთებდით ფეხბურთელის ამ სიტყვებს?*

– აბა, რა კომენტარი უნდა გავუკეთო ამ განცხადებას? აქ ხომ, პრინციპში, ყველაფერია ნათქვამი. და როგორც ვიცი, მხოლოდ შოთიკო არ ფიქრობს ასე...

ესაუბრა
ჯემალ ჯიკაშვილი

მესამედ კიეველები, ამჯერად კალაძის გოლის წყალობით

კიევის „დინამო“, თანამეგობრობის თასის გათამაშება რომ დაარსდა, ამ შეჯიბრებას არ სცნობდა. მხოლოდ ბოლო წლებში მიიღო მონაწილეობა ამ ასპარეზობაში და იმთავითვე მოუღო ბოლო რუსეთის ჩემპიონის ჰეგემონიას. აღსანიშნავია, რომ მესამედ უკრაინელებმა ეს ქართველი ლეგიონერის მცველ კახი კალაძის ერთადერთი გოლის წყალობით შეძლეს: მეორე ტაიმის პირველივე წუთზე მან შევჩენკოსთან „კედელი“ გაითამაშა და მახვილი კუთხიდან მოჭრილი დარტყმით სპარტაკელი მეკარე ფილიმონოვი აიძულა ბურთი ბადედან გამოეტანა.

ციტატა

თბილისის „დინამო“ ურიგოდ არ გამოსულა მოსკოვში, თანამეგობრობის თასის ტურნირზე. უცხოელი სპეციალისტები თბილად გამოეხმაურნენ ქართველი ფეხბურთელების თამაშს. კერძოდ, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იმ დღეებში წერდა:

„წლიდან წლამდე დავით ყიფიანის გუნდი ახალგაზრდავდება, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ყოველთვის, საინტერესო და შინაარსიან ფეხბურთს გვიჩვენებს.

კიევის „დინამოსთან“ შეხვედრის მეორე ნახევარში თბილისელებმა დაამტკიცეს, რომ მათაც შეუძლიათ კარგი ფეხბურთის თამაში.

ბიშკეკის „დინამომ“ (ყირგიზეთი) თუ თბილისის „დინამოსთან“ ორნიშნა ანგარიშით არ წააგო (მატჩი დამთავრდა 0-7) — ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დავით ყიფიანმა განაცხადში შეყვანილი ყველა 18 ფეხბურთელი ათამაშა...“

ჩვენ და ჩვენი ჯგუფელები

კენჭისყრამ ისინი მეტოქეებად აქცია

მაშ ასე, მოარული ხმები სინამდვილედ იქცა — გენერალი ანგელ იორდანესკუ საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა — მან ელადას ფეხბურთის ფედერაციასთან 2000 წლის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი. ეს ის სპეციალისტია, რომელთანაც დაკავშირებულია რუმინეთის ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებები. მანამდე კი, 90-იანი წლების დასაწყისში იორდანესკუ კვიპროსულ საფეხბურთო კლუბს წვრთნიდა საქართველოს ეროვნული ნაკრების ამჟამინდელ ხელმძღვანელ ვლადიმერ გუცაევთან ერთად. ახლა კი ეს ორი საფეხბურთო სპეციალისტი მეტოქე გახდა — ევრო-2000-ის კენჭისყრამ საქართველო და საბერძნეთი ერთ შესარჩევ ჯგუფში მოახვედრა.

ალბანეთში ბჭობენ

ევრო-2000-ის კენჭისყრის შედეგებს ალბანეთში ოპტიმისტურად შეხვდნენ, ხოლო ამას წინათ თურქეთის ეროვნულ ნაკრებთან სტუმრად მოპოვებულმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ ქვეყნის საფეხბურთო მამები იმდენად გაახარა, რომ დაუყოვნებლივ მოიწვიეს ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა – არიქა, სასიკეთო ძვრებია და მოდით მთელმა საზოგადოებრიობამ ერთიანი ძალით, ვისაც როგორ შეუძლია, ხელი შევუწყოთ ფეხბურთის განვითარებასო.

ყრილობაზე მთავარი მოხსენება სპორტის მინისტრმა კრეშნიკ ტარტარიმიმ გააკეთა. მან საინტერესო წინადადება წამოაყენა – პირველ რიგში, უნდა მოხდეს საფეხბურთო კლუბების პრივატიზაცია. თითოეული მათგანის ფასი დაახლოებით 100 ათასი დოლარი იქნება. გუნდების მფლობელების გარკვევის შემდეგ შეიქმნება ალბანეთის პროფესიონალური საფეხბურთო ლიგა (8-10 გუნდი). გუნდში გადახდილი თანხის ნაწილი კლუბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას მოხმარდება, ხოლო ნაწილს კი ორი წლით ბანკებში შეინახავენ – მისი გამოყენება ფედერაციას მხოლოდ 2000 წლის ბოლოს შეეძლება.

სპორტის მინისტრის წინადადებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ორ კვირაში ყრილობა მუშაობას განაახლებს.

სამტრედიაში სერიოზული მზადებაა

მაშ ასე, სამტრედიის სპორტული საზოგადოებრიობის, სპორტული პრესის, მათ შორის „ლელოს“ არაერთი პუბლიკაციის ძალისხმევით, ეტყობა სამტრედიაში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი ძლიერი საფეხბურთო კლუბის შექმნას. როგორც შევიტყვეთ, ყოფილ „სამტრედიას“ და „ჯუბას“ ამიერიდან დაერქმევა „იბერია“. კლუბის დირექტორატში შეყვანილია ისრაელში მოთამაშე გიორგი დარასელია, მთავარ მწვრთნელად კი დანიშნულია ცნობილი საფეხბურთო სპეციალისტი ნიკა ამირეჯიბი. კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ გუნდს მთავარ მიზნად პირველ ჯგუფში გადასვლა დაუსახა და ამისათვის სათანადო პირობების შექმნა განიზრახა.

„იბერიამ“ მეორე წრისათვის მზადება 27 იანვარს დაიწყო. გადაწყდა, რომ გუნდს ფარმ-კლუბი ამოუდგება მხარში — ძირითად შემადგენლობაში ვერმოხვედრილი ფეხბურთელები იქ აიმაღლებენ ოსტატობას. ნიკა ამირეჯიბს ადგილობრივი მწვრთნელები ბადრი ქორიძე და ტარიელ დვალიშვილი დაეხმარებიან.

„იბერიის“ ახალმა მეპატრონეებმა გუნდის მთავარ საწვრთნელ ბაზაზე დიდი ჯიხაიშში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს, რათა ფეხბურთელებს ყველანაირი პირობები შეუქმნან მომზადებისთვის: შეკეთდა გათბობის სისტემა, აბანო, საუნა, გადაჭრილია ელექტროენერგიით მომარაგების პრობლემა.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე „იბერია“ რამდენიმე საკონტროლო მატჩს ჩაატარებს, მათ შორის წყალტუბოში შეკრებაზე მყოფ სამ რუსულ გუნდთანაც.

რაკი ჩვენს სტუმრებზე ჩამოვარდა სიტყვა, შეგატყობინებთ, რომ დადგენილია ერთ-ერთი მათგანის სათამაშო გრაფიკი. სამკვირიანი შეკრების განმავლობაში კრასნოიარსკის „ჩკალოვეცი“ სამტრედიელთა გარდა ამხანაგურ საკონტროლო მატჩებს გამართავს თბილისისა და ბათუმის „დინამოსთან“, ქუთაისის „ ტორპედოსთან“, გორის „დილასთან“, წყალტუბოს „სამგურალთან“, თბილისის ასკ-თან. საქართველოს ჩემპიონს „ჩკალოვეცი“ 5 თებერვალს ეთამაშება.

„ოდიში“ – გული დარასელიას ხსოვნას

ამას წინათ, ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის სპორტკომპლექსის დარბაზში გაიმართა ზუგდიდის „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელის ლევთერი (გული) დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინიფეხბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 1984-85 წლებში დაბადებულმა ჭაბუკთა შვიდმა გუნდმა.

პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა „ოდიშმა“ (მწვრთნელები ო. თუთბერიძე, ო. ძალამიძე), მეორე ადგილი – „ლაზიკამ“ (მწვრთნელი თ. როგავა), მესამე – სპორტსკოლამ (მწვრთნელი ო. გელენავა). საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა კობა გოგუას, ნახევარმცველისა – ზაზა სახოკიას, ტექნიკური მოთამაშისა, – ლაშა ნორაკიძეს (ყველა – „ოდიში“), საუკეთესო მცველისა – ზურაბ ექონიას, თავდამსხმელისა – მათე კვარაცხელიას (ორივე – „ლაზიკა“), საუკეთესო მოთამაშისა – თემურ ფურთუხიას („წალენჯიხა“), ბომბარდირისა – გოჩა ჩქოტუას („ენგური“). წალენჯიხელებს კი სამახსოვრო თასიც გადაეცათ. ტურნირი, რომელიც საფეხბურთო კლუბმა „ოდიშმა“ ჩაატარა, ტრადიციული გახდება.

„ლელოს“ კორ.,
ზუგდიდი

პერ ომდალი: უეფას პრეზიდენტობაზე არ მიფიქრია

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, იმავდროულად უეფას ვიცე-პრეზიდენტი პერ რაველ ომდალი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების უეფას ბიუროს ხელმძღვანელ ერიჰ ეპლესთან ერთად ჩამოვიდა სფფ-ს პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის დასაფლავებაზე. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დათვალიერების შემდეგ შესაძლებლობა მოგვეცა რამდენიმე კითხვით მივვემართა ნორვეგიელი სტუმრისათვის.

● *რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ეროვნულმა სტადიონმა?*

— გრანდიოზული ნაგებობაა, კარგია, რომ ინდივიდუალური სავარძლების დამონტაჟებაც დაგიწყიათ, მაქვს ინფორმაცია, რომ საქვეყნოდ ცნობილი ფირმა „ჯენერალ ელექტრიკი“ მზადაა შეასრულოს სამუშაოები განათების ახალი სისტემის დასამონტაჟებლად.

● *ნორვეგია ევრო-2000-ზე საქართველოს მეტოქეა.*

— ძალიანაც კარგი. ჩვენი ნაკრები მზადყოფნაში დახვდება ამ პრესტიჟულ ასპარეზობას. საქართველოს ნაკრებზე გარკვეულ ინფორმაციას ვფლობთ, 1996-ის სექტემბერში გუნდს ოსლოში შევხვდით. მართალია, ამ თამაშს არ დავსწრებივარ, მაგრამ, როგორც გადმომცეს, ჩივაძის ნაკრებმა სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, მითხრეს ტექნიკური ბიჭები არიანო. ასე რომ, მოხარული ვარ კენჭისყრის შედეგებით.

● *ნორვეგია ამ შესარჩევ ჯგუფში, ცხადია, ფავორიტია?*

— ასეა. არ მაეჭვებს, ფინალურ ტურნირში გავალთ.

● *საქართველო?*

— ბერძნებთან ერთად მეორე ადგილისთვის იბრძოლებს.

● *თქვენ უეფას ვიცე-პრეზიდენტი ბრძანდებით. თუ ბატონი იუჰანსონი ფიფას პრეზიდენტად აირჩიეს, წამოაყენებთ თქვენს კანდიდატურას უეფას ხელმძღვანელის პოსტზე?*

— ჯერ არ მიფიქრია ამის შესახებ. ვნახოთ...

● *ვინ შეგეცილებათ უეფას პრეზიდენტობაზე — გენერალური მდივანი აიგნერი, ბეკენბაუერი, პლატინი?*

— ხომ გითხარით, ნაადრევია ამაზე ლაპარაკი.

● *რა შანსები აქვს ნორვეგიის ნაკრებს საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე?*

— ძნელ ჯგუფში მოვხვდით, თვით მსოფლიო ჩემპიონია ჩვენი მეტოქე, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ ნორვეგიამ აგემა ამას წინათ ბრაზილიას დამარცხება ამხანაგურ მატჩში. დარწმუნებული ვარ, საფრანგეთშიც გავამწარებთ ზაგალოს გუნდს. ტრაბახში ნუ ჩამითვლით, მაგრამ, ვფიქრობ, ერთადერთი გუნდი, ვინც ბრაზილიას საფრანგეთში სძლევს, ნორვეგია იქნება!..

ესაუბრა
ჯემალ ჯიკაშვილი

არა მხოლოდ სამორანოთი ერთითა

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ჩილეს ნაკრებისა და „რივერ პლეიტის“ (არგენტინა) ამომავალი ვარსკვლავი ***მარსელო სალასი*** მომავალი საფეხბურთო სეზონიდან რომის „ლაციოში“ ითამაშებს. იტალიელებს ეს გარიგება 21 მილიონი დოლარი დაუჯდებათ და ტრანსფერი 7-წლიანი იქნება.

22 წლის სალასი უკვე ორი წელია, რაც არგენტინის ჩემპიონის ღირსებას იცავს, ხოლო ჩილეს ეროვნულ გუნდში ივან სამორანოს არყოფნისას (ტრავმის გამო) ლიდერადაც იქცა. სწორედ სალასის შედეგიანმა თამაშმა განაპირობა ყველაზე მეტად ის ფაქტი, რომ ჩილე საფრანგეთი-98-ზე იასპარეზებს — შესარჩევ ციკლში მარსელომ 11 გოლის გატანა მოახერხა. ჩილელებს კი ახლა ნამდვილად შეუძლიათ ივან სამორანოს გარდა კიდევ ერთი ფეხბურთელით მოიწონონ თავი მსოფლიოს უძლიერესი ლიგის სერია A-ში.

FRANCE 98
COUPE DU MONDE

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

პარაგვაი

როცა ჩილავერტი თამაშობს...



ლუის ჩილავერტი

ძნელი დასასახელებელია რომელიმე მეორე თანამედროვე გუნდი, რომელშიც ერთი მოთამაშე ესოდენ დიდ როლს ასრულებდეს. თუ პარაგვაის ნაკრებში მეკარე ჩილავერტი გამოდის, გუნდი იგებს (ყველ შემთხვევაში, ასე იყო სამხრეთ ამერიკულ შესარჩევ ჯგუფში) თუ არა და... თუმცა, მეორე მხრივ ჩილავერტი ხომ მარტო მეკარის ფუნქციებს არ ასრულებს.

ხოსე-ლუის ჩილავერტი არგენტინის ლიგაში, ცნობილ კლუბ „ველეს სარსფილდში“ თამაშობს. შესაძლოა, დარტყმებს სტანდარტულ მდგომარეობას ასე ბრწყინვალედ ვერავინ ასრულებდეს, ვიდრე ეს მეკარე. ადრე ვირტუოზად ითვლებოდა კუმანი, ახლა მას პარაგვაელი აჭარბებს. საინტერესო საყურებელია რა დღეში აგდებს ჩილავერტი თავის კოლეგებს — მეკარეებს.

მიმომხილველები თვლიდნენ, რომ პარაგვაის ნაკრებმა შესარჩევ თამაშებში სტარტი კარგად აიღო. მართლაცდა, წილისყრის თანახმად, მას პირველი სამი მატჩი სტუმრად უნდა ჩაეტარებინა უძლიერეს მეტოქეებთან — კოლუმბიის, ურუგვაისა და არგენტინის გუნდებთან. 4 ქულა ამ სამ თამაშში უდავოდ კარგი მონაპოვარი იყო. წაგებას — 0-1 კოლუმბიელებთან მეორე მატჩში ისტორიული მოწინაალმდეგეების — ურუგვაელების დამარცხება მოჰყვა ანგარიშით 2-0 (გოლები გაიტანეს ფ. არსემ და ა. როხასმა). რა თქმა უნდა, პარაგვაელთათვის მიღწევად ჩაითვალა ფრე — 1-1 ბუენოს-აირესში არგენტინელებთან. ეს მატჩი 1996 წლის 1 სექტემბერს გაიმართა 80 ათასი მაყურებლის დასწრებით. აი გუნდების შემადგენლობები — ***არგენტინა:*** ბურგოსი, რ. აიალა, შამოტი, სანეთი (ალბორნოსი), კასარესი, ალმეიდა, ბასედასი (ვერონი) უ. მორალესი, სჩელოტო (კ. ლოპესი), ორტეგა, ბატისტუტა. ***პარაგვაი:*** ჩილავერტი, ს. აიალა, რივაროლა, გამარა, სანაბრია (ესტეჩე), ს. სუარესი, რ. აკუნია, ენკისო, ბურდიერი, ბაესი, ა. როხასი, გ. გონსალესი. რა თქმა უნდა, პარაგვაელებს დიდი განსაცდელი ელოდათ, მათ მშვენივრად იცოდნენ მეტოქეთა ძალა. მაგრამ აი რა მოხდა — ამდენმა ვარსკვლავმა იმ დღეს საერთო ვერ გამონახა. არ გამოუვიდა თამაში მასპინძლების სტრატეგ არიელ ორტეგას, სათანადო მხარდაჭერა არ ჰქონდა გოლეადორ გაბრიელ ბატისტუტას. მართალია, „ფიორენტინას“ ფორვარდმა „მაკრატელათი“ შესრულებული დარტყმით მაინც გაიტანა 26-ე წუთზე გოლი ჩილავერტის კარში, მაგრამ მეკარემ სულ მალე გაქვითა ანგარიში! 42-ე წუთზე ჩილავერტმა, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, არგენტინის პირველობაზე უკვე გაუტანია გოლი ჰერმან ბურგოსისათვის, ახლაც ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო — 1-1.

აქვე უნდა ითქვას, რომ თუმცა ჟურნალისტები პარაგვაელთა ნაკრებში ყოველთვის ჩილავერტს გამოჰყოფენ და ეს გასაგებიც არის, მაგრამ მას არაერთი სხვა ჩინებული ოსტატიც ჰყავს. როცა სამხრეთ ამერიკის 1996 წლის ათი საუკეთესო მოთამაშის სია გამოქვეყნდა, იქ შევიდნენ პარაგვაელი მცველები: ბრაზილიის ჩემპიონი „გრემიოს“ შემადგენლობაში ფრანსისკო არსე, არგენტინის ჩემპიონი „რივერ პლეიტის“ შემადგენლობაში სელსო აიალა, ბრაზილიურ კლუბ „ინტერნასიონალის“ მოთამაშე კარლოს გამარა. ასეთი მტკიცე დაცვა პარაგვაელებს ოთხეულში მოხვედრის დიდ იმედებს აძლევდა.

მეოთხე ტურიდან მოყოლებული, პარაგვაელებმა წინსვლა იწყეს. ჯერ მათ ასუნსიონში ჩილელებს სძლიეს — 2-1 (გამარა, რივოლა), შემდეგ იქვე დაამარცხეს ეკვადორელები — 1-0 (ბენიტესი), ამას მოჰყვა ფრე — 0-0 სტუმრად ლა-პასში ბოლივიელებთან. ამის შემდეგ პარაგვაელებს მხოლოდ კოლუმბიელები უსწრებდნენ. მორიგ მატჩში პარაგვაელებმა სტუმრად ვენესუელის ნაკრებს სძლიეს — 2-0, ამასთან, ორივე გოლი ბენიტესმა გაიტანა. საინტერესოა, რომ ამ მატჩში მსუბუქი ტრავმის გამო ჩილავერტი არ მონაწილეობდა. მას რ. დიასი ცვლიდა. ასუნსიონში პერუელებთან მოგების (2-1) შემდეგ პარაგვაელები, რომელთა შემადგენლობაში გოლები გაიტანეს რივაროლამ და ა. როხასმა, უკვე დაეწივნენ ლიდერებს — ახლა მათ 17-17 ქულა ჰქონდათ. მესამე ადგილზე 13 ქულით არგენტინელები იყვნენ. ასე დამთავრდა პირველი წრე.

ცხადია, ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მეორე წრის პირველივე მატჩმა 1997 წლის 2 აპრილს ასუნსიონში, სადაც პარაგვაელებმა კოლუმბიელები მიიღეს. ეს იყო მეტად უხეში, პირდაპირ სკანდალური მატჩი, რომელსაც ფრიად საყურადღებო შედეგები მოჰყვა. უკვე მე-6 წუთზე გამარამ გახსნა ანგარიში. თითქოს მასპინძლები ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ბოლო წუთებში დიდი ამბები დატრიალდა. 84-ე წუთზე ნამდვილი მუშტიკრივი გაიმართა ჩილავერტსა და სტუმრების განთქმულ თავდამსხმელ ასპრილიას შორის. მსაჯმა მათ მყისვე დაატოვებინა მინდორი. ამასთან, ასპრილია, როგორც წესი და რიგია, სტადიონიდან კი არ გასულა, არამედ, იქვე, სათადარიგო მოთამაშეებს მიუჯდა. აი აქ კვლავ მივიდა მასთან ჩილავერტი ჩხუბის გასაგრძელებლად, სადაც ასპრილიას არისტისაბალი გამოექომაგა. აყალმაყალი განახლდა.

მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 2-1 (85-ე წუთზე სერნამ გაქვითა ანგარიში, ორი წუთის შემდეგ კი პარაგვაელმა სოტომ გადამწყვეტი გოლი გაიტანა), მაგრამ ახლა მათ ფიფას სანქციებისათვის უნდა ეცადათ.

ყველაზე დიდ დამნაშავედ ჩილავერტი ჩაითვალა, რომელსაც 4 თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია და გარდა ამისა, 5 ათასი ფრანკიც უნდა გადაეხადა. არისტისაბალს, რომელიც ჩხუბში ჩაერია, 3 თამაშის გამოტოვება და 5 ათასი ფრანკის გადახდა ელოდა, ასპრილიას — 3 თამაშის გამოტოვება და 3 ათასი ფრანკის გადახდა. ამასთან, კოლუმბიელები თვლიდნენ, რომ ფიფამ ძალიან ლიბერალური გადაწყვეტილება მიიღო და „ყველაფერზე მხოლოდ ჩილავერტს უნდა ეგო პასუხი“. აი, რა განაცხადა ნახევარმცველმა ლოსანომ: „საჭიროა ჩილავერტის სამუდამო დისკვალიფიკაცია, ყველაფერ იმ ცუდისათვის, რაც კი მან ფეხბურთს მოუტანა“. ასპრილია: „მე ხომ ჩილავერტის განმეორებით პროვოკაციისათვის არ მიპასუხია და მაინც სამ მატჩს გამომატოვებინებენ. წარმომიდგენია ფიფა რა დღეში ჩამაგდებდა, კვლავ მუშტი-კრივში რომ ჩავბმულიყავი“.

ამის შემდეგ პარაგვაელებმა ჯერ მოუგეს ურუგვაელებს — 3-1 (როხასი, კარდოსო, პენალტით — ჩილავერტი ხომ არ თამაშობდა, სოტო), შემდეგ კი მათი საქმეები სულ უკან-უკან წავიდა. კიდევ კარგი, რომ ქულათა მარაგი დიდი ჰქონდათ, ისე რომ, მიმომხილველთა აზრით, ადგილს ოთხეულში ყველა შემთხვევაში მოიპოვებდნენ. პარაგვაელებმა ჩილავერტის გარეშე ზედიზედ სამი მატჩი წააგეს: შინ არგენტინელებთან — 1-2 (აკუნია — პენალტით), სტუმრად ჩილელებთან — 1-2 (ბრისუელა), ეკვადორელებთან — 1-2 (ბაესი). ამ მომენტისათვის ისინი მესამე ადგილზე გადავიდნენ 23 ქულით, მეორე ადგილზე მყოფ ჩილელებს მაინც 4 ქულით უსწრებდნენ. [illegible] მიმომხილველის თვალსაზრისით მაინცდამაინც საშიში არაფერი იყო. ჩილავერტი ხომ უკვე ბრუნდებოდა! აი, რას წერდა ერთ-ერთი მიმომხილველი: „თავისი ნაკრებისათვის ეს მეკარე, რომელიც შეთავსებით ასრულებს საჯარიმო დარტყმებს და პენალტს, გაცილებით მეტია, ვიდრე ნახევარი გუნდი. როცა იგი თამაშობდა, პარაგვაელები დამაჯერებლად ლიდერობდნენ. როცა მეკარე დისკვალიფიცირებული იქნა, 3 მატჩი წააგეს და მესამე ადგილზე ჩამოქვეითდნენ. და აი ჩილავერტიც დაბრუნდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა“.

ასუნსიონში ბოლივიელების დამარცხებას — 2-1 (ბენიტესი, გამარა) ამავე მინდორზე ვენესუელის ნაკრებთან მოგებაც — 1-0 (ტორესი) მოჰყვა. სტუმრად უკანასკნელი მატჩის პერუელებთან წაგებას — 0-1 უკვე აღარ შეეძლო მდგომარეობის შეცვლა. პარაგვაელები 29 ქულით (9 მოგება, 2 ფრე, 5 წაგება, ბურთები 21-14) მეორე ადგილზე გავიდნენ.

აი, რა აზრი გამოითქვა მათ თამაშზე „კოპა ამერიკას“ დამთავრების შემდეგ. მიმომხილველებმა მიიჩნიეს, რომ თუ ამ ნაკრებში ერთგვარი ბალანსირება მოხდება, იგი მსოფლიო პირველობაზე ყველასათვის საშიში გახდება. მეტისმეტად ძლიერია დაცვა, რომლის ერთადერთ პრობლემად უნდა ჩაითვალოს ბურთის გადაჭარბებული „სიყვარული“. შუა ხაზზე „იუვენტუსის“ მსგავსად, სამი მეტისმეტად შეუპოვარი ფეხბურთელია, რომელსაც უნდა დაემატოს დირიჟორი რობერტო აკუნია. ეს არის მაღალი კლასის ოსტატი, რომელიც მშვენივრად ხედავს მინდორს, აქვს ზუსტად გამოთვლილი გადაცემები, ჩინებული დარტყმა. რაც შეეხება თავდასხმას, აქ პარაგვაელებს ჰყავთ სამი ნიჭიერი ფორვარდი: მიგელ ანხელ ბენიტესი, ხოსე კარდოსო და არისტიდეს როხასი.

წილისყრის შედეგად პარაგვაის ნაკრები მეტად ძლიერ D ჯგუფში აღმოჩნდა (ესპანეთი, ნიგერია, ბულგარეთი). ვნახოთ, რას ფიქრობს გუნდის მთავარი მწვრთნელი პაულო სესარ კარპეჯანი: „ბულგარელების ნაკრები გამოცდილია, ტაქტიკურად კარგადაა ორგანიზებული. ესპანეთი მშვენივრად ბალანსირებული კოლექტივია. ნიგერიელები სწრაფნი და ფიზიკურად ძლიერები არიან, მაგრამ შანსი მაინც გვაქვს.“

ბივი თორელი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

შეიძლება, ვერც კი ითამაშოს

შეიძლება განთქმულმა ფეხბურთელმა კარლოს ვალდერამამ, რომელიც კოლუმბიის ნაკრების ნამდვილი სული და გულია, ვერც კი ითამაშოს მსოფლიო ჩემპიონატში. საქმე ის არის, რომ მას საფრანგეთის ხაზინის 100 ათასი ფრანკი ვალი აქვს (დაახლოებით 20 ათასი დოლარი). ეს იმ გადასახადების ნაშთია, რომელიც გამოჩენილ ოსტატს საფრანგეთის ხაზინაში უნდა შეეტანა (და დაფარა), როცა 1987 და 1988 წლებში „მონპელიეს“ შემადგენლობაში გამოდიოდა.

მარსელო ბალბოა – 123!

სანამ ჩვენ „ასიანთა კლუბის“ გამოჩენილი წევრების შედეგებს ვადევნებდით თვალყურს, თავისი მაჩვენებლები მკვეთრად გააუმჯობესა აშშ-ს ნაკრების მოთამაშემ მარსელო ბალბოამ. ახლა მას ნაკრებში უკვე 123 მატჩი აქვს ჩატარებული. ჩვენ არ ვიცით, კიდევ რამდენ წელს ითამაშებს ბალბოა, მაგრამ მისი ახლანდელი მიღწევაც მეტად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ფეხბურთი თოვლში ბეკენბაუერის შესრულებით

ტიროლელმა გულშემატკივრებმა ფრიად ეგზოტიკური რამ იხილეს – ფეხბურთი თოვლში გამოჩენილი ოსტატების შესრულებით. მართლაცდა, უიშვიათესი სინახაობა იყო: ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ანდრეას ბრემე და თომას ბერტჰოლდი, შტეფან როიტერი და თვით ფრანც ბეკენბაუერი.

მოარჩინეს, მაგრამ როდის...

გამოჩენილი გერმანელი ოსტატი ლოთარ ემერიხი ახლა 56 წლისაა. იგი დიდი წარმატებით თამაშობდა დორტმუნდის „ბორუსიასა“ და გერმანიის ნაკრებში, წლების განმავლობაში პირველხარისხოვან თავდამსხმელად ითვლებოდა. ბოლოს ძლიერი ავადმყოფობამ დარია ხელი: წელში ველარ იხრებოდა. ექიმებმა კატეგორიული დასკვნა გამოიტანეს: „ფეხბურთს ველარ ითამაშებს“. ასე იყო, რა გაეწყობოდა.

გავიდა მრავალი წელი. ამ დღეებში მაინის ფრანკფურტში პროფესორმა მარტინ ბიორნერმა რობოტის შემწეობით მიაგნო, რაში ყოფილა წელის ავადმყოფობის მიზეზი და ლოთარ ემერიხი სავსებით განკურნა. გაიმართე, როგორც გინდა, იმოძრავე, როგორც გინდა..

რაღა დროს.

ლეგიონერები სტოვებენ „სპორტინგს“

ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე ჯერ შორია, მაგრამ ხიხონის „სპორტინგი“ უკვე კარგა ხანია განწირულია – 20 თამაშიდან სულ 3 ქულა აქვს, რაც თავისებური ნეგატიური რეკორდია. გაზეთ „მარკას“ ცნობით, ამ გუნდის ლეგიონერები მალე დასტოვებენ მას. იური ნიკიფოროვის შეძენა სტამბოლის „გალათასარაის“ სურს, ალექსეი კოსოლაპოვი, ეტყობა მოსკოვის „ლოკომოტივში“ დაბრუნდება. გაზეთ „მუნდოს“ ინფორმაციით იგორ ლედიახოვს მექსიკის რამდენიმე კლუბი ეპატიჟება, დმიტრი ჩერიშევი კი გუნდის უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, მის დატოვებას არ აპირებს.

მატჩს მოჰამედ ალი ესწრებოდა

მაროკოს ნაკრებმა, რომელსაც ცნობილი ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი ხელმძღვანელობს, დაიწყო მსოფლიო პირველობისთვის მზადება. იგი კასაბლანკაში 80 ათასი მაყურებლის თანდასწრებით შეხვდა ანგოლის ნაკრებს და მოიგო ანგარიშით 2-1.

ბურთი თამაშში შეიყვანა მოჰამედ ალიმ, რომელიც მაროკოშია მიწვეული.

მაროკოს ნაკრებს ახლა აფრიკის თასზე მოელის თამაში, რომელიც 7-28 თებერვალს ბურკინა-ფასოში ჩატარდება.

საზღვარგარეთის
ფეხბურთის ამბები

პოლი და შერილი განქორწინდნენ

ბედნიერების 1996 წელი...

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, გლაზგოს სასამართლომ, 2 თებერვალს განიხილა „რეინჯერსისა“ და ინგლისის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის პოლი გასკოინის მეუღლის შერილ გასკოინის განცხადება გაყრის თაობაზე. სასამართლომდე რამდენიმე წუთის წინ ფეხბურთელმა განაცხადა: „თანახმა ვარ გაყრაზე, მაგრამ ეს ჩემი ინიციატივა არაა. მიუხედავად ამისა, თავს მშვენივრად ვგრძნობ“.

ამ სკანდალურ წყვილს ერთი წლის ვაჟიშვილი დარჩა. პოლი და შერილი 1996-ში დაქორწინდნენ. ქორწილის პომპეზური ცერემონიალი 170 ათასი დოლარი დაჯდა. რამდენიმე კვირის შემდეგ კი მთელი ბრიტანეთი მოიცვა გაზეთებმა, სადაც ალბეჭდილი იყო ქმრის მიერ დალილავებული შერილი – ასეთი შედეგით დამთავრდა მათი თაფლობის თვე.

შარშანწინ, შემოდგომით, გასკოინთან სერიოზული მოლაპარაკება ჰქონდა ინგლისის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ გლენ ჰოდლს. თითქოსდა მან შეძლო დაეწყნარებინა ექსცენტრიული პოლი შერიგებოდა მეუღლეს, პოლიც დასთანხმდა და რამდენიმე ხანს, მათ შორის თბილისში საქართველოს ეროვნული ნაკრების წინაალმდეგ მატჩში სამაგალითოდ გაისარჯა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მაინც გაყრით დამთავრდა.

FRANCE 98
INFORMATIONS

არგენტინელთა მთავარი იმედი... „ჩოჩორია"!

ის, რომ არგენტინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი საინტერესო მონაწილე იქნება, ეს დღეისათვის უკვე კარგად არის ცნობილი. ამ გუნდს გამოჩენილი ოსტატების დიდი ბირთვი ჰყავს, მწვრთნელი დანიელ პასარელა კი მთავარ იმედს მაინც არიელ ორტეგაზე ამყარებს, ახალგაზრდა ბრწყინვალე მონაცემების მქონე ნახევარმცველზე, რომელსაც არგენტინაში „ახალ მარადონას" უწოდებენ.

თუ ორტეგას „ახალი მარადონა" ჰქვია, მის კიდევ ერთ მეტსახელს „ელ ბურიტოს" კი, ცხადია, ახსნა სჭირდება. საქმე ის არის, რომ „ელ ბურიტო" ესპანურ ენაზე პაჭარა ვირს, ჩოჩორს ნიშნავს: ეს, რა თქმა უნდა, ღიმილს იწვევს. თუ რატომ დაიმსახურა ასეთი მეტსახელი, ამის შესახებ თვით ორტეგამ უპასუხა „ფრანს ფუტბოლის" კორესპონდენტს. ეს მეტისმეტი შეუპოვრობისა და ზოგჯერ აშკარა სიჯიუტის გამო დაარქვეს. წარმოიდგინეთ, როგორ განაწყენდება ნებისმიერი კაცი, რომელი ქვეყნიდანაც არ უნდა იყოს იგი, ვირი და ჩოჩორი რომ დაუძახო, არიელს კი ოდნავადაც არ ეჩოთირება ასეთი მეტსახელი.

● *„ჩოჩორი" „რივერ პლეიტაში" დაგარქვეს?*

– არა, გაცილებით უფრო ადრე, როცა ჩემს მშობლიურ ქალაქ ლედესმაში, კლუბ „ატლეტიკოში" ვთამაშობდი „ჩოჩორი" მამაჩემის გამო დამარქვეს, რომელიც ლედესმას მეორე კლუბ „ჰურაკანში" გამოდიოდა. იგი მეტისმეტად შეუპოვარი და გამძლე იყო, რის გამოც „ელ ბურო" – ვირი დაარქვეს (თუმცა არის სხვაგვარი ახსნაც: გამოჩენილი ფეხბურთელის მამას, რომელიც თავდასხმაში თამაშობდა, იმდენი ხელსაყრელი მომენტი გაუფუჭებია, იმდენი იოლად გასატანი გოლი ვერ გაუტანია, რომ გულშემატკივრები მინდვრიდან სულ „ვირო, ვიროს" ძახილით ისტუმრებდნენ)... ჩემი აზრით, გუნდი სწორედ ასეთ „ვირებს" ემყარება.

● *მამათქვენს არა სწყინდა?*

– არა, კორდილიერებში ვირი ყველაზე უფრო სასარგებლო პირუტყვია.

ასე რომ, არიელ ორტეგა ბევრის მსგავსად მემკვიდრეობითი ფეხბურთელია. 7 წლისას, ბიძამ, ასევე თავგამოდებულმა გულშემატკივარმა, ბურთი აჩუქა. დაიწყო გაუთავებელი „ქუჩის მატჩები". 14 წლისამ კი უკვე თავის პირველ კონტრაქტს მოაწერა ხელი ლედესმას „ატლეტიკოსთან". ისე კი, საკმაოდ იშვიათ შემთხვევასთან გვქონდა საქმე – ქალაქის ერთ გუნდში მამა თამაშობდა, მეორეში კი – შვილი. თუმცა ჩვენ ამას წინათ საქართველოში კიდევ უფრო პიკანტურ მაგალითს წავაწყდით – მამა და შვილი ერთ გუნდში თამაშობდნენ!

კონტრაქტი ვახსენეთ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ „ატლეტიკოში" თამაშისათვის ორტეგა სასაცილოდ მცირე თანხას იღებდა. მაინც რამდენს? არ ამბობს, სალაპარაკოდ არც ღირსო. დაახლოებით წარმოდგენა მაინც შეიძლება, თუ ორტეგას სხვა ნათქვამს გავიხსენებთ. თურმე ნუ იტყვით, „ატლეტიკოს" ახალგაზრდა ფეხბურთელები, ისე, რომ კლუბის ხელმძღვანელობას არ გაეგო, სულ მცირე თანხას, რაღაც 100-200 პესოს აგროვებდნენ და ნიძლავზე ეთამაშებოდნენ ყველას, ვისაც მათთან შეხვედრა სურდა.

ორტეგას საფეხბურთო კარიერის „ლედესმას პერიოდმა" ის დადებითი შედეგი გამოიღო, რომ ახალგაზრდა ნიჭიერი თავდამსხმელის სახელი არგენტინაში კარგა ცნობილი გახდა, რაზე ოცნებობს ფრანგი ახალგაზრდა? რა თქმა უნდა, „პარიზის დაპყრობაზე". რაზე ოცნებობს არგენტინელი ჭაბუკი? რა თქმა უნდა, ბუენოს აირესზე, რომელიც მისთვის პარიზიც არის და ბაღდადიც, და, არიელ ორტეგაც ოცნებით მიილტვოდა დედაქალაქისაკენ, დიდი გუნდებისაკენ, რომელთა შორის ყველაზე განთქმული მაინც „რივერ პლეიტი" იყო. რა თქმა უნდა „რივერ პლეიტი" იგივეა არგენტინელებისათვის, რაც ბრაზილიელებისათვის – „ფლამენგო". აქ ხომ, სხვებს რომ თავი დავანებოთ, ლაბრუნა, დი სტეფანო, მორენო, სან ფილიპო, სივორი, კემპესი და პასარელა თამაშობდნენ.

ჩვენ შემთხვევით როდი ვახსენეთ პასარელა. საქმე ის არის, რომ 1991 წელს მან, იმხახად „რივერ პლეიტის" მწვრთნელმა, 17 წლის ორტეგა დედაქალაქის კლუბში მიიწვია. ჭაბუკი პირველივე ვარჯიშის შემდეგ აქო, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ამზადებდა, შემდეგ კი ორტეგა უკვე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახდა. მან „რივერ პლეიტის" შემადგენლობაში არგენტინის ჩემპიონის წოდება მოიპოვა, 19 წლისა კი ალფიო ბაზილემ არგენტინის ნაკრებში მიიწვია. იგი მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში კი არ მონაწილეობდა, არამედ, აშშ-ში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატშიც ჰქონდა ნათლობა.

ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს ხან „ახალ გარინჩას" უწოდებენ, ხან მარადონას ადარებენ, ძალიან ბევრს ნიშნავს. თვლიან, რომ ლეგენდარულ ბრაზილიელს იგი გარეგნულადაც ჰგავს, თვალშეუვლები ცრუ მოძრაობა და დრიბლინგი აქვს, რითაც მეტოქეებს ჩიხში აყენებს. თვით ორტეგა თავის მთავარ ღირსებად იმპროვიზაციის უნარს მიიჩნევს, მთავარ ნაკლად – ცოტა გოლის გატანას, თუმცა ამას იმით ხსნის, რომ სხვებს უქმნის გოლის გატანის შესაძლებლობას. ამას კი, როგორც ცნობილია, ძალზე კარგად ახერხებს.

მას შემდეგ, რაც არგენტინის ნაკრებს სათავეში დანიელ პასარელა ჩაუდგა, უპირველეს ამოცანად მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის შელახული ავტორიტეტის აღდგენა დაისახა. საამისოდ საჭირო იყო მსოფლიოს მორიგ პირველობაზე თამაშის უფლების მოპოვება და ატლანტის ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლა. ამასთან, პასარელამ ნაკრებში გაამკაცრა დისციპლინა, კურსი აიღო ახალგაზრდა ტალანტებზე და ყურად არ იღო მარადონას თხოვნა, კიდევ ერთხელ მიეცათ ნაკრებში გამოსვლის საშუალება, რისთვისაც ჭირვეული ვარსკვლავისაგან „კრეტინის" სახელი დაიმსახურა.

პასარელა ატლანტის ოლიმპიურ ტურნირს მსოფლიო პირველობისათვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად თვლიდა. აქ მიმომხილველების გამოცდილ თვალს ერთი რამ არ გამოეპარა: არგენტინელების ნაკრები განწყობილების გუნდი იყო, შეეძლო ბრწყინვალედ, მაღალი ტემპით, კომბინაციური სტილით ეთამაშა, მაგრამ ზოგ შეხვედრაში ინერტული, პასიურიც ყოფილიყო. ეს ეხებოდა ნაკრების ყველა მოთამაშეს, მათ შორის ორტეგასაც. ერთი რამე კი აღინიშნა; ორტეგამ შეასრულა დანაპირები და მეტი გოლის გატანა დაიწყო. იგი გოლის ავტორი გახდა პორტუგალიელებთან (1-1) და ტუნისელებთანაც (1-1), მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, თავი გამოიჩინა მეტად მახვილგონივრული გადაცემებით. ასე იყო მეოთხედფინალში ესპანელებთან, სადაც ორტეგას წყალობით კრესპო რამდენჯერმე აღმოჩნდა მეკარის პირისპირ და ორი გოლიც გაიტანა (საერთო ანგარიში – 4-0), იგივე განმეორდა ნახევარფინალში პორტუგალიელებთან (2-0). ორივე გოლი კრესპომ გაიტანა.

იმას, რომ არგენტინელები ოლიმპიური ჩემპიონები ვერ გახდნენ, ორტეგას თამაშის საერთო შეფასება ოდნავადაც არ შეუცვლია. იგი ჩამოყალიბდა, როგორც უნივერსალური ოსტატი, რომელსაც ძალზე ბევრი რამ შეუძლია. ეს დადასტურდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, რომელშიც ორტეგა გუნდის ნამდვილი ლიდერი იყო და არგენტინის ნაკრებმა, მართალია, საკმაო ფათერაკების შემდეგ, მაგრამ მაინც დაიკავა პირველი ადგილი.

ახლა კი მოვუსმინოთ თვით ორტეგას, რომელიც უპასუხებს ჟურნალისტის შეკითხვებს.

● *რითი აიხსნება ასეთი შეურიგებელი დამოკიდებულება არგენტინელ და ბრაზილიელ ფეხბურთელებს შორის?*

– არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ არგენტინასა და ბრაზილიაში თამაშობენ სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელები. ნებისმიერ საერთაშორისო მატჩში ბრაზილიელები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ისინი არგენტინელებზე უკეთესნი არიან. ზუსტად ამასვე ცდილობენ არგენტინელებიც. არავინ ზუსტად არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს დაპირისპირება, რომლის დროსაც არგენტინელებისა და ბრაზილიელების თითოეული მატჩი ნამდვილ დერბად იქცევა.

● *და, მაინც, ბოლოს და ბოლოს, ვინ უფრო უკეთ თამაშობენ, ბრაზილიელები თუ არგენტინელები? –*

– რა თქმა უნდა, არგენტინელები!

● *თქვენ ამბობთ, რომ არგენტინელები ბრაზილიელებზე უკეთ თამაშობენ. დიახ, მაგრამ, ესპანეთის უკანასკნელ ჩემპიონატში რომ საუკეთესო ბრაზილიელი იყო, რონალდო?!*

– რონალდოს გარდა, ამ ჩემპიონატში სხვა დიდი ფეხბურთელებიც მონაწილეობდნენ (თვით ორტეგა „ვალენსიაში" გამოდის), მეკარეები, მცველები, ნახევარმცველები, თავდამსხმელები. ესპანეთის, ევროპისა თუ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები – ეს ძალიან სუბიექტური შეფასებაა. ზოგს რონალდო მოსწონს, ზოგს სუბისარეტა, სიმეონე, რობერტო, კარლოსი.

● *მაგრამ თქვენ ხომ წინააღმდეგი არ იქნებოდით, ესპანეთში საუკეთესო ფეხბურთელად რომ ეცნეთ?*

– რა მექნებოდა ამის საწინააღმდეგო, მაგრამ ესპანეთის №1 ფეხბურთელობა ჩემთვის თვითმიზანი როდია. ჯერ ახალგაზრდა ვარ და მუდმივად ვფიქრობ იმის შესახებ, როგორ სრულვყო თამაში, მაქსიმალური სარგებლობა მოვუტანო ჩემს გუნდს.

რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ ბრაზილიელების და არგენტინელების მეტოქეობის ნიშნის ქვეშ არ ჩაივლის. პირველი ადგილის პრეტენდენტების რიცხვი საკმაოდ დიდია, მაგრამ არგენტინელ გულშემატკივრებს იმედი აქვთ, რომ „ელ ბურიტო" – „ჩოჩორი" მათი გუნდის ღირსეული ლიდერი იქნება. იმან კი, ვისაც ასეთი შესანიშნავი წინამძღოლი ჰყავს, აუცილებლად მაღალ შედეგებს უნდა მიაღწიოს.

ბივი გამრეკელი

საფეხბურთო ისტორიიდან

ის, ვისაც ყველაზე მეტი წოდება აქვს!

რა თქმა უნდა, ჰენტოზე უკეთესი ფეხბურთელი ისტორიაში არაერთი იყო (თუმცა არც ისე ბევრი!), მაგრამ ამდენი წოდება, ამდენი სპორტული ჯილდო, შეიძლება ითქვას, არავის ჰქონია.

ფრანცისკო ლოპეს ჰენტო, რომელსაც გულშემატკივრები „პაკოს" ეძახდნენ, დაიბადა 1933 წლის 22 ოქტომბერს გუარნიცაში. თამაშობდა „ნუევა მონტანაში", „ასტილეროში", „რაიო კანტაბრიასა" და სანტანდერის „რეალში". ეს, ასე ვთქვათ, მისთვის დიდი ფეხბურთისათვის მოსამზადებელი პერიოდი იყო. 1953 წელს ჩაირიცხა მადრიდის "რეალში", სადაც კარიერის დამთავრებამდე, 1971 წლამდე თამაშობდა, ჩაატარა 800-ზე მეტი მატჩი და გაიტანა 256 გოლი. ამას ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში გამართული 43 მატჩი და 6 გოლიც დავუმატოთ. ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 1955 წლის 18 მაისს მადრიდში ინგლისელების წინააღმდეგ (1-1), გამოსათხოვარი მატჩი კი 1969 წ. 15 ოქტომბერს ფინელების წინააღმდეგ (6-0) ლა ლინუა დე ლა კონსეპსიონში ითამაშა. მონაწილეობდა მსოფლიოს 1962 და 1966 წლების ჩემპიონატში. 1963 წელს ითამაშა ლონდონის ისტორიულ მატჩში, ფიფას ნაკრების შემადგენლობაში ინგლისელების წინააღმდეგ.

და მაინც ჰენტო ფეხბურთის ისტორიაში შევიდა თავისი განსაკუთრებული წარმატებებით, რომელიც მადრიდის „რეალში" მოიპოვა. აქ იგი 11 წლის განმავლობაში ალფრედო დი სტეფანოს მხარდამხარ თამაშობდა, მის შემდეგ კი გუნდის კაპიტანი გახდა. როცა „რეალზეა" ლაპარაკი, აქ პირველ რიგში, უნდა გავიხსენოთ ის ათწლეული (1956-1966), როცა გუნდი რვაჯერ (!) გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში, ექვსჯერ კი ამ თასის მფლობელი გახდა. თუ ამ ტურნირის უდიდეს მნიშვნელობას 'გავითვალისწინებთ, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთის პოპულარიზაციის საკითხში, ეს უნიკალური მიღწევა გახლდათ. და აი, ყველა ამ მოგებულ ფინალურ მატჩში მონაწილეობდა ერთადერთი ფეხბურთელი — ფრანსისკო ლოპეს ჰენტო. პირველ 5 მატჩში თამაშობდა აგრეთვე „რეალის" ორი მოთამაშე. ალფრედო დი სტეფანო და მცველი ხოსე მანუელ სარაგა. აი, მეექვსე შეხვედრაში მონაწილეობას კი მათმა ასაკმა შეუშალა ხელი.

უნიკალური მიღწევა გახლავთ ისიც, რომ ჰენტომ მონაწილეობა მიიღო ზედიზედ 15 (!) ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. განა ვინმე როდესმე მოხსნის ამ რეკორდს? ვინმე ექვსჯერ მოიპოვებს ჩემპიონთა თასს? არავინ ამბობს, რომ ჰენტო ისეთივე დიდი ფეხბურთელი იყო, როგორიც დი სტეფანო ან ფერენც პუშკაში, რომელიც „რეალში" მოგვიანებით ჩაირიცხა და ჩემპიონთა თასის მოგებულ ფინალურ მატჩში მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა. ცხადია, „სამეფო კლუბში" მარცხენა გარემარბს ერთიც ჩრდილავდა და მეორეც. მაგრამ ჰენტოც ხომ ბევრ რამეს აკეთებდა თავისი დიდი ენერგიით, შეუპოვრობით, ბრძოლის ჟინით. მას ხომ დიდი სისწრაფე და ზუსტი დარტყმა ჰქონდა.

აი ნაწყვეტები განთქმული მარცხენა გარემარბის ინტერვიუდან, რომელიც მან მადრიდის სპორტულ გაზეთ „მარკას" მისცა.

● *იყო ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც ექვსჯერ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, რა თქმა უნდა, დიდი პატივია.*

— უზარმაზარი კმაყოფილების გრძნობას განვიცდი, რომ ასეთი კარიერა მქონდა. ახლა ამისი გამეორება მეტად ძნელია და მიხარია, რომ ამგვარად თავისებურ მწვერვალზე აღმოვჩნდი.

● *„რეალის" უბედნიერეს პერიოდს მოესწარით. არა გწყინთ, რომ უკვე ამდენი ხანია მას ახალი საერთაშორისო წარმატებები აღარა აქვს?*

— გასაგებია, ეს მწყინს. იმის წინამძღვრები კი არის, რომ „რეალი" უძლიერესი ევროპული კლუბების რიცხვს დაუბრუნდეს. იგი ძალიან ძლიერი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, შეიძლება სხვა გამოჩენილი ოსტატების მიზიდვაც. ამისათვის, რა თქმა უნდა, ცდა არის საჭირო.

● *შეიძლება „რეალი" იმის მსგავსი გახდეს, როდესაც თამაშობდით თქვენ, დი სტეფანო, პუშკაში?*

— ასეთი გუნდის შექმნა ძალიან ძნელია. მხედველობაში მაქვს თამაშის დონეც და სპორტული შედეგებიც.

● *შეგიძლიათ თქვათ, რომ იგი ფეხბურთის ისტორიაში უძლიერესი იყო?*

— არ ვიცი. მაგრამ ეს იყო გუნდი-ლეგენდა. ეს საკმარისია მის დასახასიათებლად.

● *ვინ იყო, თქვენი აზრით, უძლიერესი მოთამაშე ფეხბურთის ისტორიაში?*

— აი ამ კითხვაზე კი ყოვლად უყოყმანოდ გიპასუხებთ. უძლიერესი ფეხბურთელი ისტორიაში დი სტეფანოა. პელე ისე ხშირად არ მინახავს, მაგრამ ვფიქრობ, დი სტეფანო უფრო მრავალმხრივი ფეხბურთელი იყო. დი სტეფანოსა და პელეს შემდეგ ადგილს ფერენც პუშკაშს მივაკუთვნებდი.

● *ჰენტო?*

— ჩემი ადგილი სადმე მეორე რიგებშია.

მას შემდეგ, რაც ფეხბურთელის კარიერა დაასრულა, ჰენტო „რეალის" ჭაბუკთა გუნდის მწვრთნელი გახდა. იგი ხანდახან მონაწილეობს ხოლმე ვეტერანთა მატჩებში. 60 წელს გადაცილებული „პაკო" კარგად ახსოვთ გულშემატკივრებს, „რეალის" კაპიტანი, ნაკრების მოთამაშე, სპორტული ჯილდოების მთელი „მუზეუმის" მფლობელი.

ბივი თორელი

სურათზე: 1958 წლის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი — მადრიდის „რეალი". დგანან (მარცხნიდან): ალონსო, მარკუტისო, სანტამარია, ლესმისი, სანტისტებანი, რუიზ; სხედან — კოპა, მარშალი, დი სტეფანო, რიალი, ჰენტო.

ნბა

ჯერი რაინსდორფი: ჯორდანის თაყვანისმცემლები სიკვდილით მემუქრებოდნენ

62 წლის ჩიკაგოელ ჯერი რაინსდორფს ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი. დაამთავრა იურიდიული ფაკულტეტი, მუშაობდა სახელმწიფო საგადასახადო სამსახურში. დააარსა ფირმა, რომელიც უძრავი ქონებით ვაჭრობდა. მოგვიანებით ძალიან სარფიანად გაყიდა ეს ფირმა და 80-იანი წლების დასაწყისში 15 მილიონ დოლარად შეიძინა ბეისბოლის კლუბი „ჩიკაგო უაიტ სოქსი“ და კალათბურთის გუნდი „ჩიკაგო ბულზი“. მათი ამჟამინდელი ფასი 240 მილიონია! გთავაზობთ რაინსდორფის ალსარებას, რომელიც გაზეთ „თაიმსში“ გამოქვეყნდა.

ჯერი რაინსდორფი

„ხშირად მეკითხებიან, როგორ ეწყობით ისეთ ვარსკვლავებს, როგორიც მაიკლ ჯორდანია? დიახ, მე ვიცი მაიკლის ტელეფონის საიდუმლო ნომერი და ხანდახან ჩვენ ერთად ვსადილობთ კიდეც, მიუხედავად ამისა, იგი ჩემთვის ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანია. ყველაზე მთავარი ისაა, რომ მაიკლი, მიუხედავად პოპულარობისა, ძალიან თავმდაბალი პიროვნებაა, რისთვისაც ქუდს ვუხრი. არ შეიძლება არ აგაღფრთოვანოს იმ ფაქტმა, რომ ადამიანი, რომელიც ამდენი მცველებითაა გარსშემორტყმული, ყოველთვის მზადაა ქუჩაში მათხოვრებთან სალაპარაკოდ.

სწორედ ჯორდანის სახელთანაა დაკავშირებული ის ხანა, რომელიც ყველაზე უბედნიერესია ჩემს ცხოვრებაში. „ჩიკაგომ“ ხუთჯერ მოიგო ნბა-ს ჩემპიონატი. ამასთან, ვაღიარებ, რომ ჯორდანის გულისთვის ბევრი უსიამოვნებაც მქონია. ეს მაშინ, როდესაც კალათბურთელს კონტრაქტის ვადა გაუვიდა, ახალი კი მოგვიანებით გააფორმა. მე ვიღებდი გულშემატკივართა საშინელ წერილებს, ისინი სიკვდილით მემუქრებოდნენ, ხოლო ქუჩაში გამოსვლისას ყველა თითს იშვერდა ჩემსკენ — „აი, რა ცუდი ადამიანია, რაინსდორფი, ფული ენანება ჯორდანისათვის“. ეს ამბავი ძალიან მტკენდა გულს და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორი უმადურია ჩემი პროფესია. თუ ეკონომიას არ მიმართე, სპორტულ ბიზნესში ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწევ. ეს ყველამ უნდა დაიმახსოვროს.

ყველაზე მთავარია — შეკრიბო ისეთი გუნდი, რომელსაც ძალუძს გაუმკლავდეს ნებისმიერ გუნდს. ეს შემოქმედებითი პროცესი ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებს.

ცხადია, ძალიან გამიმართლა, რომ გუნდში მყავს ისეთი ვარსკვლავები, როგორიცაა მაიკლ ჯორდანი და სკოტ პიპენი. ბევრი თვლის, რომ სათანადოდ არ ვაფასებ სკოტს და ამიტომ მინდა იგი სხვა გუნდში გავყიდო. ეს არაა სიმართლე.

ბევრი გულშემატკივარი შოკირებული იყო მიმდინარე ჩემპიონატში ჩვენი უიღბლო სტარტით. ამბობდნენ კიდეც, მორჩა, დამთავრდა „ხარების“ ხანაო. მაგრამ გავიდა დრო და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ჩვენ კვლავ ლიდერებში ვართ, იმიტომ, რომ ძლიერები ვართ. და კიდევ იმიტომ, რომ გვყავს მაიკლ ჯორდანი“.

ჰუმანიზმი

დამსახურებულთ არ ივიწყებენ...

ნხლ-ის გუნდის „დეტროიტის“ შესანიშნავი მცველი ვლადიმერ კონსტანტინოვი, რომელიც მძიმედ დაშავდა შარშანდელ საშინელ ავტოკატასტროფაში, ჯერჯერობით ხეიბრად რჩება, მაგრამ იგი გაჭირვებაში არავის მიუტოვებია. თავის გუნდთან თეთრ სახლში საზეიმო მიღებაზე მიიწვიეს, სადაც აშშ-ის პრეზიდენტი ბილ ქლინთონი დეტროიტელებს სტენლის თასი -97-ის გათამაშებაში გამარჯვებას მიულოცავდა.

... „წითელი ფრთები“ საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრინდა ვაშინგტონში და მრავალტანჯულ რუსეთელ მოთამაშეს შეხვდა, რომელიც, თავის მხრივ, ფლორიდადან ჩამოფრინდა (იქ გადის ახლა სარეაბილიტაციო პერიოდს დაშავებული ჰოკეისტი).

— ყველაფერი ადრე იყო გადაწყვეტილი, — განუცხადებია კლუბის მთავარ მწვრთნელს სკოტი ბოუმენს — ვლადი ჩვენთან ერთად უნდა ყოფილიყო. ვიმედოვნებ, ეს ამბავი მას ძალიან დაეხმარება.

ვლადიმერ კონსტანტინოვი აგრეთვე იყო „რედ უინგს“-ის სადილზე ორშაბათს, ქალაქ ფორტ-ლოდერდეილში (ფლორიდის შტატი), სადაც გუნდი მაიამისა და ტამპში ადგილობრივ გუნდებთან მატჩების წინ მოთავსდა.

... აი, ასეთი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებიან გაჭირვებაში ჩავარდნილ გამოჩენილ სპორტსმენებს მშობლიური კლუბები უცხოეთში...

დოპინგი

ჩინელ მოცურავეთა ახალი სახე

სოკის სამედიცინო კომისიის მიერ აკრძალული პრეპარატების 27 ცარიელი ამპულა აღმოუჩენიათ იმ მოტელის ტუალეტებში, რომელშიც ცხოვრობდა ახლახან ავსტრალიაში, პერტში გამართული სპორტის საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ოთხი დელეგაცია. ერთ-ერთი ჩინეთისა ყოფილა. ამპულებში ჩარჩენილ ნაშთებს ანალიზს უკეთებენ. ეს ყველაფერი ადგილობრივ პოლიციას უცნობებია პრესისათვის.

მოტელ „ბიუტი ლოჯში“ პოლიციელებს უპოვიათ პლასტიკის ფლაკონი, რომელშიც ბევრი აბი იყო. სამხილი, პირველ ყოვლისა, ჩინელი მოცურავეების ნომრებში აღმოუჩენიათ.

... ისე ჰგავს, სპორტული მაჩვენებლების ზრდა ზოგიერთ სახეობაში არაერთ სპორტსმენს უდოპინგოდ ველარ წარმოუდგენია. ნარკომანთა გვერდით დოპინგომანების კატეგორია ყალიბდება...

მოთხილამურეც ამხილეს

ცნობილი ფინელი მოთხილამურე-მრბოლი იარი რიასიანენი ამხილეს დოპინგის მიღებაში, გამოაცხადა ფინეთის საინფორმაციო სააგენტომ: სათხილამურო სპორტის ფედერაცია შეუდგა ამ პრეპარატის გამოყენების შესწავლას, იგი მსგავსია ჩინელ მოცურავეებს რომ აღმოაჩნდათ ახლახან დამთავრებულ მსოფლიო პირველობაზე ავსტრალიაში. „ეს ძალზე სერიოზული ბრალდებაა, რომელიც ფინელ მოთხილამურეს წაუყენეს ზამთრის ოლიმპიადის კვირაძალზე“, განაცხადა სათხილამურო სპორტის ფედერაციის წარმომადგენელმა ესკო ეხომ.

რიასიანენმა განაცხადა, რომ ჰორმონი მიუღია კი არა, არც უფიქრია ამაზე. „ეს ცილისწამებაა, მორალური ზარალისათვის მოვითხოვ კომპენსაციას 2 მილიონ მარკას (360 ათასი ამერიკული დოლარი) სტტ-საგან, — თქვა რიასიანენმა. მოგვიანებით ეს თანხა ორჯერ შეამცირა თავადვე.

სტტ-ს მონაცემებით, გენოტროფინის ამპულები ერთ-ერთი ჰოსპიტალიდანაა მოპარული.

რა ხდება ქვეყანაზე

მთელ კონტინენტს რბენით გადასერავენ

ორმა ბრიტანელმა 24 წყვილი ფეხსაცმელი მოიმარაგა მარქაფად და შეუდგა შორეულ გადარბენას. აფრიკის სამხრეთ წერტილიდან კეიპტაუნიდან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), ეგვიპტის ქალაქ ალექსანდრიამდე. მათ უნდა დასძლიონ 10.166 კმ.

თუ 27 წლის ნიკ ბარნი და 30 წლის კრის რეინბოუ წარმატებით დაამთავრებენ გადარბენას, რომლის ტრასა ბოსტვანუზე, ზამბიაზე, ტანზანიაზე, კენიაზე, ეთიოპიაზე, სუდანსა და ეგვიპტეზე გადის, მათი სახელები გინესის რეკორდების წიგნში შევა.

მანამდე ორი გადარბენა ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე, ამერიკის ტერიტორიაზე იყო, მეორე — ავსტრალიისაზე.

მორბენლებს ეყოლებათ ოთხკაციანი დამხმარე ჯგუფი, რომელიც თან გაჰყვება ბარნსა და რეინბოუს. მორბენლები ყოველდღიურად, შეუსვენებლივ 6 საათს ირბენენ. ისინი ადრე — დილის 3.30 საათზე ადგებიან, რათა თავი დააღწიონ შუადღის სიცხეს.

მხარდამჭერი ჯგუფი ოთხ ყველგანმავალ ავტოთი, რომელშიც უხვად იქნება პასტა (იტალიური მშრალი სუფი) თან გაჰყვება სტაიერებს 174-ვე „სარბენ“ დღეს. მორბენლები ყოველ მეხუთე დღეს დაისვენებენ.

რას არ გაიგებ

დედიშობილა

აშშ-ის ქალაქ კოლეჯვილში (მინესოტას შტატი) გაიმართა სენტ-კონის უნივერსიტეტისა და სენტ-ბენედიქტის კოლეჯის სტუდენტ-მოცურავეთა შეჯიბრებები. რასაკვირველია, ეს ყურადღებად არ ელირებოდა, თუ არა ერთი აქ მომხდარი ამბავი: უნივერსიტეტელ ვინმე მეთ ზელენს ამოსაკვრელის შეკვრა დავიწყებია და ას მეტრზე ცურვისას, მისივე სიტყვებით, სხვა რალა დარჩენოდა — პირდაპირ წყალში გაუძვრია ეს ხელისშემშლელი ერთადერთი ჩასაცმელი; დაკარგულ წამთა მიუხედავად, ფინიშთან იგი მაინც პირველი მივიდა.

მეთს გამოუთქვამს ღრმა აზრი — დედიშობილა გულაღმა არ შეიძლება ცურვა, თორემ ბატერფლაით რა უჭირსო... მსაჯებმა უგულებელჰყვეს გამარჯვებული მოცურავის არგუმენტი და მას დისკალიფიკაცია მისცეს... ტანსაცმლის ფორმის დარღვევისათვის...

ფორმულა-1

მენსელის ვარაუდი

მასმედიის ყურადღების ცენტრში კვლავ ფორმულა-1-ის 1992 წლის ჩემპიონი ნაიჯელ მენსელია. მან ერთობ სენსაციური განცხადებები გააკეთა, როდესაც 1998 წლის სეზონის შესაძლო შედეგებს შეეხო.

მენსელის აზრით, დაიმონ ჰილი აუცილებლად შეუერთდება მსოფლიოს წამყვან მრბოლებს ჟაკ ვილნევსა და მიხაელ შუმახერს: „ედი ჯორდანი მთელი წელი ნაყოფიერად მუშაობდა თავისი ბოლიდების სრულყოფისათვის. ასე რომ, „ჯორდანის“ გუნდის წამყვანი მრბოლი ჰილი ფავორიტთა რიცხვში მოხვდება“.

ღალატი?

აზიურ თამაშებს საფრთხე შეექმნა

ტაილანდი ის ქვეყანა გახლავთ, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა საშინელ ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდის. არადა, ტაილანდში წლეულს, დეკემბერში აზიური თამაშები უნდა მოეწყოს; როგორც ჩანს, თამაშების გადასარჩენად ბიუჯეტის ჩამოჭრა მოუხდებათ, მით უფრო, რომ მთავარმა სპონსორმა — ტელეკომუნიკაციების კომპანიამ „სამარტ კორპორეიშნ პლც“-მა შეჯიბრებების მხარდასაჭერი გეგმები „შეახვია“. ფირმამ გადაწყვიტა მატერიალური დახმარება 10 მილიონი დოლარიდან 2 მილიონამდე შეკვეცოს; მიუხედავად თამაშების ორგანიზატორების მუქარისა, ისინი მეცენატს სასამართლო გარჩევით დაემუქრნენ.

საორგანიზაციო კომიტეტი დაბეჯითებით მოითხოვს სპონსორისაგან შარშან ხელმოწერილი კონტრაქტიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებას, მაგრამ „სამარატის“ განცხადებით, იგი მზად არის უკიდურეს ზომებზე წასასვლელად და სჯობს, ნუ აწყენინებენ...

„სპორტლოტოს“ შედეგები

1 თებერვალს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36“-დან გათამაშების 05 ტირაჟი, დაშვებული იყო 4872 ვარიანტი. მოგებაზვედრილი ციფრები:

11, 29, 30, 14, 17.

5 ციფრი ვერავინ ამოიცნო. 4 ციფრის ამოცნობისათვის (1 ვარიანტი) — 182.70 ლარი. 3 ციფრის ამოცნობისათვის (63 ვარიანტი) — 3.90 ლარი. მოგებები განაღდდება 3 თებერვლიდან 3 მარტის ჩათვლით.

06 ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 8 თებერვალს, „ჯეკპოტი“ შეადგენს 7095 ლარს, ამასთან, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა.

გიწვევთ ტრადიციული სპორტული ლატარიების გათამაშებაში.

წარმატება მხოლოდ თქვენს არჩევანზეა დამოკიდებული.

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი



16

29

4-10



რინგვორდი

თარაზულად: 5. შეჯიბრში დაწინაურებული, 6. მთავარი მსაჯი, 10. ტაისონის პრომოუტერი, 11. პროფესიონალ მოკრივეთა ცნობილი მწვრთნელი, 12. ფრენკ ბრუნოს სამშობლო, 15. ჯილდო გამოჩენილ სპორტსმენთათვის, 16. „ნოკაუტის მეფის“ ჰირნსის სახელი *(ფოტო)*, 17. ცნობილი თბილისელი ვეტერანი მოკრივის სახელი, 18. მსოფლიო ჩემპიონი ესპანელი მოკრივე, 21. განთქმული კანადელი მოკრივე, 23. მასირებული შეტევა, 27. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი კრივში, 29. ინგლისელი მოკრივე, რომელსაც „ბროლის ყბა“ ჰქონდა *(ფოტო)*, 30. სპორტის სახეობა, 31. პუერტორიკოელი მოკრივე, 32. ტერმინი კრივში.

შვეულად: 1. კრივის არენა, 2. ამერიკელი მოკრივე, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, 3. სახელგანთქმული ამერიკელი მოკრივე *(ფოტო)*, 4. მსოფლიოს ჩემპიონის უოლკოტის ნამდვილი გვარი, 7. მწვრთნელი, რომელიც ხელთათმანების ცნობილ აფიორაში იყო გახვეული, 8. ცნობილი გერმანელი მოკრივე, 9. ტაისონის ყოფილი მწვრთნელი, 13. ქართული კრივის ნაირსახეობა. 14. მდგომარეობა კრივში, 19. რობინსონისა და ლეონარდის მეტსახელი, 20. წარსულში ცნობილი საქართველოს მოკრივე, 22. სირენა, 24. 70-იანი წლების მექსიკელი მოკრივე, 25. განთქმული ამერიკელი რეფერი, 26. იაპონელი მოჭიდავე, რომელიც რინგზე შეხვდა მოჰამედ ალის, 28. მურის სახელი.

შეადგინა მამუკა ქანთარიამ (ლანჩხუთი)

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ბოსტონი, 3. ადმირი, 27-29. ბეიბლი, 33. ემიანი, 58. ამანსიო, 60. შახლინი.

შვეულად: 1. „ბენფიკა“, 4. იასალდე, 7-24. იფტერი, 38. „აპოელი“, 40. ანგლომა. 41. ეშფორდი.

დიაგონალურად: 1-10. ბოლი, 21-2. არბიტრი, 23-6. მენოტი, 27-7. ბიატლონი, 28-19. ბრემე, 5-24. ტურამი, 11-26. მოლინა, 15-30. „ინტერი“, 14-29. ბეკერი, 18-31. „ბრედა“, 31-20. ალეზი, 24-9. იკპება, 26-12. არტური, 32-16. „ბრეშია“, 33-17. ელიოტი, 19-34. ეკელი, 7-35. იაკუშინი, 8-25. ქორიძე, 3-22. აბაშიძე, 13-4. შუბი, 28-43. ბრიტო, 27-55. ბალაკოვი, 37-54. რაპირა, 40-59. აუგუსტო, 58-49. „არაუ“, 45-29. „გუმარი“, 46-30 სპასკი, 50-36. ბიკილა, 53-38. „სპარტა“, 42-31. კრიპა, 31-44. „არისი“, 33-48. ელბერი. 32-47. ბულიტი, 36-51. „ალანია“, 38-57. ანტიჩი, 43-34. ონილი, 56-39. სპიტცი, 60-41. შტილიკე, 52-61 ლიპი.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (თბილისი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. a4! ba 2. მca3 კ:a3 3. c4! მ:c4 4. ლc8+ მფ:b5 5. ლc4#

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონ